პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 24 სექტემბერი, 1949 წ. № 190 (8493). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

მოვემზადოთ ზამთარში შეუფერხებელი მუშაობისათვის — მოწინავე (1-ლი გვერდი).

ჩვენს რესპუბლიკაში (1-ლი გვერდი).

მაო-ძე დუნის სიტყვა ჩინეთის სახალხო კოლიტიკური საკონსულტაციო კონფერენციის გახსნისას (მე-2 გვერდი).

ლ. ბაგრატიონი — „ხარატაანთ კერა" (მე-2 გვერდი).

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიკური საბჭოს ბლეის მეოთხე სესიაზე (მე-2 გვერდი).

უნგრეთის სახელმწიფო დამნაშავის რაიკისა და მის თანამოზიარეთა სასამართლო პროცესი (მე-3 და მე-4 გვერდი).

მოვემზადოთ ზამთარში შეუფერხებელი მუშაობისათვის

შარშან ზამთარში ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობა ძირითადად შეუფერხებლად მუშაობდა. ამის შედეგად არათუ ადგილი არ ჰქონია მრეწველობის მუშაობაში სეზონურ ჩამორჩენას, არამედ თვიდან თვემდე იზრდებოდა პროდუქციის გამოშვება. ზამთარში მაღალნაყოფიერ მუშაობას უნდა მიეწეროს ის ფაქტი, რომ რესპუბლიკის მრეწველობამ მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმა საგრძნობი გადაჭარბებით შეასრულა და გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით 11 პროცენტით გაადიდა პროდუქციის გამოშვება. ეს წარმატება იმით აიხსნება, რომ შარშან საწარმოთა დიდი უმრავლესობა კარგად მოემზადა ზამთარში შეუფერხებელი მუშაობისათვის, დროულად და საკმაო რაოდენობით მიმარაგა ნედლეული, დამხმარე მასალები, სათბობი, შეაკეთა და წესრიგზე მოიყვანა დაზგა-დანადგარები, სასათბობო და ელექტრო-მეურნეობა, კაპიტალური და მიმდინარე რემონტი გაუკეთა საწარმოო კორპუსებს, მუშათა ბინებს და საერთო საცხოვრებლებს, საყოფაცხოვრებო-კულტურულ და კომუნალურ ნაგებობებს. ყოველივე ამან შექმნა სათანადო პირობები მაღალნაყოფიერი შრომისათვის, საწარმოო დავალებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის.

მიუხედავად ამისა, შარშან წარმოების ცალკეულ დარგებსა და საწარმოებში ადგილი ჰქონდა ზამთრისათვის მომზადების შეუფასებლობას და ამ ნიადაგზე გამოწვეულ შეფერხებებს. მაგალითად, შარშანდელ ზამთარს მოუმზადებელი შეხვდა ჭიათურის მარგანეცის ტრესტის ზოგიერთი მაღარო და გამაუხვებელი ფაბრიკა. აქ დროზე ვერ მოიმარაგეს სათბობი და სამაგრი მასალა. ზამთარში მუშაობისათვის მოუმზადებელი იყო ავტოტრანსპორტიც. ამ ნიადაგზე ფერხდებოდა გამაუხვებელი ფაბრიკების მუშაობა, სამაგრი და სხვა მასალების მიზიდვა მაღაროებამდე. ტყიბულქვანახშირის ტრესტის შახტების ხელმძღვანელობამ საჭიროდ არ მიიჩნიეს შახტებთან მისასვლელი გზების შეკეთება, რის გამო წვიმიან ამინდში და დიდი თოვლის დროს გაძნელებული იყო შახტებთან მიმოსვლა. ანალოგიური მოვლენები ზოგიერთ სხვა საწარმოშიც იყო.

ზამთრისათვის საწარმოების მომზადება წელს გაცილებით უფრო ადრე ორგანიზებულად დაიწყო. საქართველოს კ. პ. (ბ) ჭიათურის საქალაქო კომიტეტის პლენუმმა სპეციალურად განიხილა მარგანეცის მრეწველობის ზამთრისათვის მომზადების საკითხი და ტრესტის სამეურნეო ხელმძღვანელებს ამ მიმართულებით კონკრეტული ამოცანები დაუსახა. პლენუმის მიერ დასახული ამოცანების განხორციელებას მაღაროელები უკვე შეუდგნენ. უნარიანად ემზადებიან ზამთრისათვის თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატში. ამ კომბინატის საწარმოო კორპუსისა და საცხოვრებელი ბინების შესაკეთებლად გამოყოფილი თანხების დიდი უმეტესობა უკვე ათვისებულია. ძირითადად დამთავრებულია მუშათა ბინების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და კომუნალურ ნაგებობათა შეკეთება. კომბინატის საწარმოო კორპუსის შეკეთების სამუშაოთა სამი მეოთხედი დამთავრებულია. წესრიგზე მოყვანილია სასათბობო მეურნეობა და ელექტროგაყვანილობა, მთავრდება სახურავის კაპიტალური შეკეთება, შეცვლილია დაზიანებული კარ-ფანჯრები, ამთავრებენ კედლებისა და ჭერის შეღებვა-შეთეთრებას, იატაკის მოასფალტებას. ამ წარმატებას კომბინატის ხელმძღვანელებმა იმით მიაღწიეს, რომ დროულად დაამუშავეს ზამთრისათვის საწარმოს და საცხოვრებელი ბინების მომზადების კონკრეტული გეგმა, ცალკეულ სამუშაოთა შესრულების ხელმძღვანელობა დააკისრეს სპეციალურად გამოყოფილ მუშაკებს, გამოჰყვეს საკმაო თანხები და მასალები, ყოველთვიურად აღრიცხავენ შესრულებული სამუშაოს ოდენობას ცალკეული ობიექტების მიხედვით.

მთელ რიგ საწარმოო ობიექტებზე ზამთრისათვის მზადება ჯერ კიდევ არასაკმაო ტემპით მიმდინარეობს. მაგალითად, ტყიბულქვანახშირის ტრესტის შახტებში მხოლოდ 10 აგვისტოს მიიღეს ტრესტის ხელმძღვანელობის ბრძანება შახტების ზამთრისათვის მოსამზადებლად. ლენინის სახელობის შახტში დაწყებულია რკინიგზის ლიანდაგების კაპიტალური რემონტი, წარმოებს ქვანახშირის დამხარისხებელ ნაგებობათა გადახურვა, გზების გასუფთავება; სტალინის სახელობის შახტში შეუდგნენ მეშახტეთა საცხოვრებელი სახლებისა და კლუბის შენობის კაპიტალურ შეკეთებას; მაგრამ ყველა ეს სამუშაო იმდენად ნელი ტემპით მიმდინარეობს, რომ საეჭვოა მათი დამთავრება ზამთრის დაწყებამდე მოესწროს. ქალაქ რუსთავის სამშენებლო ტრესტის საბინაო განყოფილებას საცხოვრებელი ბინების შესაკეთებლად ჯერჯერობით სერიოზული ნაბიჯი არ გადაუდგამს, არ გამოუყვია საჭირო მუშახელი და აუცილებელი მასალები, არ შეუდგენია სარემონტო სამუშაოთა გრაფიკი. ქუთაისის აბრეშუმსაქსოვ კომბინატში, მიუხედავად იმისა, რომ ზამთრისათვის საწარმოს მოსამზადებლად ზოგიერთი ღონისძიება უკვე განახორციელეს, ძირითადი სამუშაოები ჯერჯერობით შეუსრულებელია.

ზამთრისათვის მრეწველობის მომზადება დიდმნიშვნელოვანი სახალხო-სამეურნეო ამოცანაა. ამ ამოცანის გადაჭრა თვითეული საწარმოს სამეურნეო ხელმძღვანელის, პარტიული და პროფესიული ორგანიზაციების უნარიან მუშაობას მოითხოვს.

ამ დღეებში საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა სპეციალური დადგენილება მიიღო ზამთრისათვის სამრეწველო საწარმოების, მუშათა საცხოვრებელი ბინებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ნაგებობათა მზადყოფნის მასობრივი საზოგადოებრივი შემოწმების შესახებ. შემოწმება ოქტომბრის ბოლოს დამთავრდება. პროფესიული კავშირების რესპუბლიკური და საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტები ამთავითვე უნდა შეუდგნენ პროფსაბჭოს ამ დადგენილების განხორციელებას, გულდასმით გამოარკვიონ ზამთრისათვის მზადების მიმდინარეობა თვითეულ ობიექტზე, შეამოწმონ ჩატარებული სამუშაოს ხარისხი და კონკრეტული ზომები მიიღონ ამ მიმართულებით არსებული ჩამორჩენის სასწრაფოდ აღმოფხვრისათვის. ძირეული პარტიული ორგანიზაციების მოვალეობაა ყოველგვარი დახმარება გაუწიონ საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტებს ამ საქმეში.

საწარმოთა კოლექტივები ენერგიის დაუზოგავად შრომობენ მეოთხე სტალინური ხუთწლედის ოთხ წლიწადში შესასრულებლად. თვითეულ საწარმოში ჩაღდება საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება წლიური გეგმების ვადამდე შესრულებისათვის. საწარმოთა სამეურნეო ხელმძღვანელების, პარტიული და პროფესიული ორგანიზაციების მოვალეობაა შეუქმნან საწარმოთა კოლექტივებს მაღალნაყოფიერი შრომის ყველა პირობა, დროულად მოამზადონ საწარმოები ზამთარში შეუფერხებელი, მაღალნაყოფიერი მუშაობისათვის.

საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობების ტრესტმა ვალდებულება იკისრა წლიური გეგმის გადამეტებით მოკრიფოს და სახელმწიფოს ჩააბაროს 1.000 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი

საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობების ტრესტმა 100,2 პროცენტით შეასრულა ჩაის კრეფის წლიური გეგმა.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელზე გამოგზავნილი დეპეშით ტრესტის მმართველი ამხ. ქაჩიბაია იტყობინება, რომ ჩაის საბჭოთა მეურნეობების ტრესტმა ვალდებულება იკისრა წლიური გეგმის გადამეტებით მოკრიფოს და სახელმწიფოს ჩააბაროს სულ მცირე 1.000 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

აბაშის რაიონის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს წლიური გეგმის გადამეტებით მოკრიფონ და სახელმწიფოს ჩააბარონ 60 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი

აბაშის რაიონის კოლმეურნეობებმა შეასრულეს ჩაის კრეფის წლიური გეგმა.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელზე გამოგზავნილი დეპეშით საქართველოს კ. პ. (ბ) აბაშის რაიკომის მდივანი ამხ. ებრალიძე და მშრომელთა დეპუტატების აბაშის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ადამია იტყობინებიან, რომ რაიონის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს წლიური გეგმის გადამეტებით მოკრიფონ და სახელმწიფოს ჩააბარონ 60 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

ჩვენს რესპუბლიკაში

★ ★ ★

კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები უმაღლესი განათლებით

ოჩამჩირე. (საკ. კორ.). რაიონის კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები იმაღლებენ თავიანთ თეორიულ ცოდნას, იძენენ უმაღლეს განათლებას.

სოფელ ჯგერდის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. მ. აბუხბა უმაღლესი განათლებითაა. უმაღლესი განათლებითაა აგრეთვე სოფელ აკვასკის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ალ. ცქვიტაია. ეს კოლმეურნეობა ახლად დასახლებულია და მოკლე დროში მოწინავეთა რიგებში ჩადგა. სოფელ გუფის ჩკალოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ი. გარმელია დაუსწრებლად იძენს უმაღლეს განათლებას.

სოფელ მეორე ათარის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ლეონ ელექჩიანი პროფესიით აგრონომია. კოლმეურნეობებს უნარიანად მეთაურობენ აგრეთვე ზოოტექნიკოსები პ. ესათია, ა. ხოჭავა და სხვ.

ახალი კლუბი

ხულო. (საკ. კორ.). სოფელ სამოლეთის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა აგებს ადმინისტრაციული სახლისათვის ორსართულიან შენობას, რომლის პირველ სართულში მოეწყობა 320-ადგილიანი საკოლმეურნეო კლუბი და ბიბლიოთეკა, ხოლო მეორე სართულში მოთავსდება საკოლმეურნეო კანტორა.

ეხმარებიან სკოლებს

სტალინირი. (საკ. კორ.). შეუნელებლად ზრუნავენ კოლმეურნეები სკოლებისათვის. ამას წინათ სტალინირის რაიონის ხეთაგუროვის, ქემერტის, გრომის, სათიხარის სასოფლო საბჭოების კოლმეურნეობათა წევრებმა მოაწყეს „სკოლის დღე". კოლმეურნეებმა სკოლები უზრუნველყვეს ზამთრისათვის საკმაო რაოდენობის შეშით.

ამ მხრივ კარგად იმუშავეს აგრეთვე ლენინგორის რაიონის ლარგვისის, ჯავის რაიონის კიროვის და სხვა სასოფლო საბჭოების კოლმეურნეობებმა.

წყალსადენი კოლმეურნეობაში

ზესტაფონი. (საკ. კორ.). სოფელ ტაბაკინის შვერნიკის სახელობის კოლმეურნეობა მიმდინარე წლის აგვისტოდან შეუდგა 3 კილომეტრი მანძილიდან სასმელი წყლის გამოყვანას. წყალსადენის მშენებლობა ჩქარა დამთავრდება. 100-მდე კოლმეურნის ოჯახი მალე უზრუნველყოფილი იქნება სასმელი წყალით.

სახელმწიფო დახმარება მრავალშვილიან და მარჯოხელა დედებს

ყვარელი. (საკ. კორ.). წელს რაიონის მრავალშვილიან და მარტოხელა დედებს დახმარების სახით მიეცათ 351.775 მანეთი. სოფელ სანავარდოში მცხოვრებმა თამარ ტატურაშვილმა, რომელსაც 9 შვილი ჰყავს, სახელმწიფოსაგან 13.425 მანეთი დახმარება მიიღო. ამავე სოფელში მცხოვრებმა 9 შვილის დედამ სოფიო ყულიჯანოვმა 9.925 მანეთი მიიღო.

ციტრუსების შემფუთავი ახალი ქარხანა და მიმღები პუნქტები

ბათუმი. (საკ. კორ.). აჭარის ციტრუსოვან რაიონებში ამჟამად გაცხოველებით მიმდინარეობს სეზონისათვის მზადება. ამ დღეებში ჩაქვში დაიწყო ციტრუსების შემფუთავი ახალი მძლავრი ქარხნის მშენებლობა. აღნიშნული ქარხანა სეზონში 50 მილიონ ცალ ციტრუსის ნაყოფს გადაამუშავებს. ქარხნის მშენებლობა მომავალ წელს დამთავრდება. მშენებლობისათვის გამოყოფილია 4 მილიონი მანეთი.

ჩაქვის შემფუთავი ქარხანა სოფელ ხალაში აშენებს ახალ მიმღებ პუნქტს, რომელიც სეზონში 4 მილიონამდე ციტრუსოვან ნაყოფს მიიღებს. პუნქტის მშენებლობა 130.000 მანეთი დაჯდება.

ახალ მიმღებ პუნქტს აშენებს აგრეთვე ბათუმის შემფუთავი ქარხანა. მიმღები პუნქტი შენდება ბათუმის რაიონის სოფელ თხილნარში.

ციტრუსების მიმღები პუნქტის მშენებლობა გაცხოველებით მიმდინარეობს ბათუმის რაიონის სოფელ ახალშენში, რომელიც მომსახურებას გაუწევს ამავე რაიონის ჩაისუბნის შემფუთავ ქარხანას.

პუნქტი მზად იქნება 20 ოქტომბრისათვის. ამას გარდა, ჩაისუბნის პავილიონთან შენდება ახალი ტარის საწყობი, რაზედაც 85.000 მანეთი დაიხარჯება.

აჭარის ციტრუსხილდამზადების კანტორამ (უფროსი ხ. კვარაცხელია) უკვე დაამთავრა შემფუთავი ქარხნებისა და მიმღები პუნქტების კაპიტალური და მიმდინარე რემონტი, რასაც 778.000 მანეთი მოხმარდა.

ქვანახშირის კომბინატის ადმინისტრაციული სახლის მშენებლობა

საქართველოს „შახტმშენის" თბილისის საამშენებლო სამმართველო რუსთაველის პროსპექტისა და მოსკოვის ქუჩის კუთხეში საქართველოს ქვანახშირის კომბინატისათვის აშენებს ხუთსართულიან ადმინისტრაციულ სახლს.

სახლი შენდება არქიტექტორების ნ. ჩხიკვაძის და გ. ჩხეიძის პროექტის მიხედვით.

ამჟამად წარმოებს მშენებლობის პირველი რიგის სამუშაოები. მშენებლობა მიმდინარეობს ნაკადური მეთოდით. მუშაობაში გამოყენებულია კრანკოშკები, ექსკავატორი, ხსნარსარეველები, ბეტონსარეველები, ელექტროხერხი, ელექტროგიბრატორები და სხვა მოწყობილობანი, რომლებიც მუშახელისა და დროის დიდ ეკონომიას იძლევიან.

შენობის პირველი სართულის კორპუსები მოპირკეთდება თეთრი მარმარილოთი, ხოლო ფასადი — ბოლნისის ტუფით და ნაწილობრივ ეკლარის ქვით.

რუსთაველის პროსპექტისა და მოსკოვის ქუჩის კუთხეში შენობას ექნება 40 მეტრი სიმაღლის კოშკი, რომელიც გაფორმდება ქართული ორნამენტებით.

ამჟამად მთლიანად დამთავრებულია საძირკვლის მშენებლობის 60 პროცენტი. შენდება კედლები. დღემდე შესრულებულია 2.500 კუბმეტრი რკინაბეტონისა და ბეტონის, ხოლო 600 კუბმეტრი კედლის წყობის სამუშაოები. მშენებლობის პირველი რიგი დამთავრდება 1950 წელს, მთლიანად შენობა კი 1951 წლის ბოლოს.

მშენებლობას ხელმძღვანელობს ინჟინერი ფ. გუჯეჯიანი.

სიმინდის, მზესუმზირის, თამბაქოს, გერანის და კარჯოფილის ახალი მოსავალი

სიმინდი საქართველოს კოლმეურნეობებში 20 სექტემბრისათვის აღებული იყო 6.136 ჰექტარი. ხაშურის რაიონში სიმინდი აღებულია 1.248 ჰექტარი, ქარელის — 467, თეთრი წყაროს — 505, გურჯაანის — 200, კაჩრეთის — 411, სიღნაღის — 1.474, წითელწყაროს — 461, ახმეტის — 183, ლაგოდეხის — 517, თბილისის — 514 ჰექტარი.

მზესუმზირა სექტემბრის მეოთხე ხუთდღიურში აღებულია 2.065 ჰექტარი, სულ 20 სექტემბრისათვის კი 13.487 ჰექტარი. რესპუბლიკური გეგმა შესრულებულია 76,6 პროცენტით.

თეთრი წყაროს რაიონში მზესუმზირის აღების დავალება 25,0 პროცენტით არის განაღდებული, გურჯაანის— 74,2, კაჩრეთის — 96,8, სიღნაღის— 89,0, წითელწყაროს — 87,4, თელავის 63,8, ახმეტის — 58,8, ყვარლის—100, ლაგოდეხის — 73,4, თბილისის—54,9, მცხეთის — 55,0, საგარეჯოს რაიონში — 40,8 პროცენტით.

თამბაქოს მოსავლის აღების რესპუბლიკური გეგმა 20 სექტემბრისათვის შესრულებულია 89,2 პროცენტით. აფხაზეთში დავალება 84,6 პროცენტით არის განაღდებული, აჭარაში — 55,8, ზუგდიდის რაიონში — 101,4, წიწამურის—87,0, ჩოხატაურის—76,8, ყვარლის — 122,5, ლაგოდეხის — 101,7, მარნეულის — 96,7, ბოლნისის რაიონში — 133,2 პროცენტით.

გერანი საქართველოს კოლმეურნეობებში 20 სექტემბრისათვის აღებული იყო 1.479 ჰექტარი. რესპუბლიკური გეგმა შესრულებულია 28,7 პროცენტით. აფხაზეთის კოლმეურნეობებში აღებულია გეგმის 15,4 პროცენტი, ლაგოდეხის რაიონში—59,1, მარნეულის რაიონში—46,0 პროცენტი.

კარტოფილის მოსავლის აღების რესპუბლიკური გეგმა შესრულებულია 6,3 პროცენტით. აფხაზეთის კოლმეურნეობებში დავალება 44,1 პროცენტით არის განაღდებული, სამხრეთ ოსეთში —1,3, ჩოხატაურის რაიონში — 2,0, ქუთაისის—15, საჩხერის—4,3, ამბროლაურის — 4,0, ხაშურის — 25,3, ქარელის — 11,3, კასპის — 13,6, ბორჯომის — 3,1, თეთრი წყაროს — 25,7, გურჯაანის — 100, სიღნაღის — 100, ახმეტის — 81,0, კაჩრეთის—100, ლაგოდეხის — 71, თბილისის — 46, მარნეულის — 11,4, ბოლნისის — 69,3, საგარეჯოს — 29,8, დმანისის რაიონში — 0,6 პროცენტით.

მოსკოვის ადგილობრივი მრეწველობა ოქტომბრის 32-ე წლისთავზე

დედაქალაქის ადგილობრივი მრეწველობის საწარმოთა ათასობით მუშა, ინჟინერი, ტექნიკოსი და მოსამსახურე დადგა ოქტომბრის 32-ე წლისთავის აღსანიშნავ სტახანოვურ ვახტზე. მათ ვალდებულება იკისრეს ვადამდე შეასრულონ საწარმოო გეგმა, მოაგვარონ ფართო მოხმარების ათობით ახალი ნაწარმის გამოშვება.

ამ დღეებში კარგად შრომობენ შემდეგ ქარხნებში: „ზარიაში", „გაზოაპარატში", „კრასნაია ზვეზდაში", „ისკრაში", „მოსშტამპში", „ტრუბოლიტეინში", „კრასნი შტამპოვშჩიკში" და სხვ. საყოველთაო სახალხო დღესასწაულისათვის ხდება ახალ-ახალი ნაწარმის ათვისება. ქარხანა „გაზოაპარატის" კოლექტივი დაამზადებს იმ ნაწარმის პირველ პარტიას, რომელიც აადვილებს ქალის შრომას ოჯახში — სარეცხის გასაწურავ ვალცებს, ოთახის მაცივრებს, ყავის საფქვავს. უშვებენ გაუმჯობესებულ სარეცხ მანქანებს, რომელთა ფასიც მნიშვნელოვნად მცირდება. (საკვლესი).

ფოღაღის მაგისტრალებზე სტახანოველ ფ. ლანჩაკის მეთოდით

ლენინგრადი, 20 სექტემბერი. (საკვლესი). ლენინგრადის რკინიგზის ბევრმა შემდგენელმა ათვისა მოსკოველი ნოვატორი რკინიგზელის ფ. ე. ლანჩაკის მეთოდი და ნაკადური წესით ამუშავებს ვაგონებს.

საუკეთესო შედეგებს მიაღწია საადგურ ნოვი პორტის შემდგენელმა ი. კრინინმა. მან გულმოდგინედ შეისწავლა, თუ როგორ არის განლაგებული კლიენტურის პაკჰაუზები, როგორია სადგურის მისასვლელი გზების თანამიმდევრობა. ორთქლმავალთა მეთანქანეებთან, დისპეტჩერთან და მწოლავთან ერთად ამხ. კრინინი ადგენს სამანევრო მუშაობის ერთიან გეგმას. მოწინავე შემდგენელი სისტემატურად ასრულებს ერთნახევარზე მეტ ნორმას, ზოგავს 10-15 წუთს თვითეულ შემადგენლობის დაშლაზე. მის ანგარიშზე არის ერთ თვეში ასობით დაზოგილი ვაგონსაათი.

გზაზე შექმნილია რვა სტახანოვური სკოლა ფ. ე. ლანჩაკის ჩქარი მეთოდის შესასწავლად. სკოლებს ხელმძღვანელობენ მაგისტრალის საუკეთესო შემდგენლები და სატვირთო სადგურების ინჟინრები.

საზოგადოებრივი კონტროლის 400 ბრიგადა

ბაქო, 19 სექტემბერი. (საკვლესი). აზერბაიჯანის რკინიგზაზე ათობით სადგური, საწარმო და საოსტატოა, რომლებმაც ზამთრისათვის მომზადების გეგმა შეასრულეს. კომუნისტების ინიციატივით გადაწყდა ზამთრისათვის მზადების გაუწიონ საზოგადოებრივი კონტროლი. შეიქმნა საზოგადოებრივი კონტროლის 400 ბრიგადა, რომლებიც სიგნალს იძლევიან სარემონტო სამუშაოთა გრაფიკის დარღვევის თვითეული შემთხვევის შესახებ, ამოწმებენ მათს ხარისხს.

გენიალური ფიზიოლოგის ძეგლი

ლენინგრადი, (საკვლესი). ქარხანა „მონუმენტსკულპტურაში" დამთავრდა დიდი საბჭოთა ფიზიოლოგის ი. პ. პავლოვის ძეგლის ფიგურის ჩამოსხმა. მოდელი გამოძერწა სტალინური პრემიის ლაურეატმა მ. გ. მანიზერმა.

3,6 მეტრი სიმაღლის ბრინჯაოს ქანდაკება უახლოეს ხანში გაიგზავნება რიაზანს, მეცნიერის სამშობლოში. აქ 26 სექტემბერს ი. პ. პავლოვის დაბადების 100 წლისთავზე ზეიმით გაიხსნება ძეგლი.

სოციალისტური შრომის გმირები



ე. ე. ჭანკვეტაძე
ზესტაფონის რაიონის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 3,3 ჰექტარი შამპანური ჯიშების ვენახის თვითეულ ჰექტარზე 75,8 ცენტნერი ყურძნის მოყვანისათვის.

ა. მ. გრძელიძე
მაიაკოვსკის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე 104,6 ცენტნერი ყურძნის მოყვანისათვის.

ნ. უ. ბოგოლძე
მახარაძის რაიონის შრომის სასოფლო საბჭოს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 0,5 ჰექტარ ფართობზე 6.434 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოყვანისათვის.

ა. ი. ერქომაიშვილი
ჩოხატაურის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 0,5 ჰექტარ ფართობზე 6.321 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოყვანისათვის.

მაო-ძე დუნის სიტყვა

ჩინეთის სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო კონფერენციის გახსნისას

ბეიპინი. 22 სექტემბერი. (საკდესი). სინხუას სააგენტო გადმოგვცემს ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მაო ძე-დუნის სიტყვას, რომელიც მან გუშინ ჩინეთის სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო კონფერენციის გახსნისას წარმოთქვა.

„ბატონო დელეგატებო! — თქვა მაო ძე-დუნმა, — ამით იხსნება პოლიტიკური საკონსულტაციო კონფერენცია, რასაც მოუთმენლად ელოდა მთელი ჩვენი ქვეყნის ხალხი.

ჩვენს კონფერენციაში მონაწილეობას იღებს 600-ზე მეტი დელეგატი, რომლებიც წარმოადგენენ ჩინეთის ყველა დემოკრატიულ პარტიასა და ჯგუფს, სახალხო ორგანიზაციებს, სახალხო-განმათავისუფლებელ არმიას, სხვადასხვა რაიონსა და ეროვნებას, აგრეთვე საზღვარგარეთ მცხოვრებ ჩინელ მოქალაქეებს. ეს იმას მოწმობს, რომ ჩვენი კონფერენცია მთელი ჩვენი ქვეყნის ხალხის დიადი ერთიანობის კონფერენციაა.

მთელი ჩვენი ქვეყნის ეს დიადი სახალხო ერთიანობა მიღწეულ იქნა იმის შედეგად, რომ ჩვენ გავანადგურეთ რეაქციული გომინდანური მთავრობა, რომელსაც დახმარებას უწევს ამერიკის იმპერიალიზმი. ჩინეთის ბერძა სახალხო-განმათავისუფლებელმა არმიამ სამი წლისა და მეტი ხნის განმავლობაში გაანადგურა შემოტევა გომინდანის რეაქციული მთავრობის რამდენიმე მილიონიანი ჯარისა, რომელიც დახმარებას იღებდა ამერიკის შეერთებული შტატებიდან, ხოლო შემდეგ თვითონ გადავიდა კონტრიერიშზე და შეტევაზე. ამკამად სახალხო-განმათავისუფლებელი ჯარების მოქმედმა არმიებმა რამდენიმე მილიონი კაცის რაოდენობით მაღიწიეს რაიონებს უშუალოდ ფორმოზისა და გუანდუნის, გუანსის, გეიჯოუს, სიჩუანისა და სინძიანის პროვინციების მახლობლად, რის შედეგადაც ჩინელი ხალხის უმრავლესობა უკვე განთავისუფლებულია. ამ სამი წლისა და მეტი ხნის განმავლობაში მთელი ჩვენი ქვეყნის ხალხი გაერთიანდა, დახმარება გაუწია სახალხო-განმათავისუფლებელ არმიას, იბრძოდა თავისი მტრის წინააღმდეგ და გადამწყვეტი გამარჯვება მოიპოვა. ყოველივე ამან შესაძლებლობა მოგვცა დღეს მოგვეწვია სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო კონფერენცია.

ჩვენს კონფერენციას პოლიტიკური საკონსულტაციო კონფერენცია იმიტომ ეწოდება, რომ სამი წლის წინათ ჩვენ ჩანკაიშისტურ გომინდანთან ერთად მოვაწიეთ პოლიტიკური საკონსულტაციო კონფერენცია. იმ კონფერენციის შედეგები მოსპეს ჩანკაიშისტურმა გომინდანმა და მისმა თანამონაწილეებმა, მაგრამ კონფერენციამ წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ხალხში. მან ცხადყო, რომ ვერავითარი ამოცანა, რაც დაკავშირებულია ხალხის ინტერესებთან, ვერ გადაიჭრება იმპერიალიზმის მოსამსახურეებთან — ჩანკაიშისტურ გომინდანთან და მის თანამონაწილეებთან ერთად. ეს ამოცანები არ შეიძლება გადაიჭრას თუნდაც მაშინ, როცა იღებენ რეზოლუციებს, რომელთაც უხალისოდ ეთანხმებიან. გომინდანელები ყველა რეზოლუციას დაბეჭენ შესაფერ მომენტში და გამოვლენ ხალხის წინააღმდეგ, სასტიკ ომს გაიჩაღებენ მის წინააღმდეგ. კონფერენციის ერთადერთი მიღწევა ის იყო, რომ იგი გაკვეთილი გახდა ხალხისათვის და გააგებინა მას, რომ სრულიად არავითარი კომპრომისი არ შეიძლება იმპერიალიზმის მსახურებთან — ჩანკაიშისტურ გომინდანსა და მის თანამონაწილეებთან, და ისიც დაგვრჩენია, რომ ან დავამხოთ ეს მტრები ან მათ მოგვესპონ და გვჩაგრონ. სხვა არჩევანი არ არის. სამი წლისა და მეტი ხნის მანძილზე ჩინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით სწრაფად გაიზარდა ჩინელი ხალხის შეგნებულობა. იგი დაირაზმა და შექმნა საერთოეროვნული ერთიანი ფრონტი იმპერიალიზმის, ფეოდალიზმის, ბიუროკრატიული კაპიტალის წინააღმდეგ, რომლებსაც ასახიერებს რეაქციული გომინდანური მთავრობა. ჩინელი ხალხი მხარს უჭერდა სახალხო-განმათავისუფლებელ ომს, გადამწყვეტი დამარცხება მიაყენა გომინდანის რეაქციულ მთავრობას, დაამხო ჩინეთში იმპერიალიზმის ხელისუფლება და ააღორძინა პოლიტიკური საკონსულტაციო კონფერენცია.

ახლანდელი სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო კონფერენცია სრულიად ახალ საფუძველზეა მოწვეული. იგი წარმოადგენს მთელი ჩვენი ქვეყნის ხალხს და სარგებლობს მისი ნდობითა და მხარდაჭერით. ამიტომ ჩინეთის სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო კონფერენციი აცხადებს, რომ იგი ახორციელებს ეროვნული სახალხო კრების რწმუნებებს. ჩინეთის სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო კონფერენციის დღის წესრიგშია ისეთი საკითხები, როგორიცაა ჩინეთის სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო კონფერენციის ორგანიზაციული სტატუტი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის ორგანიზაციული სტატუტი, ჩინეთის სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო კონფერენციის საერთო პროგრამა, ჩინეთის სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო კონფერენციის ეროვნული კომიტეტის არჩევა, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის საბჭოს არჩევა, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ეროვნული დროშისა და ეროვნული გერბის დამტკიცება, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქის ადგილსამყოფელის საკითხი და იმ ჯელენდრის მიღების საკითხი, რომლითაც მსოფლიოს ქვეყნების უმეტესობა სარგებლობს.

ბატონო დელეგატებო! ჩვენ გამსჭვალული ვართ შეგნებით, რომ ჩვენი მუშაობა კაცობრობის ისტორიაში შევა. ისტორია იტყვის, რომ ჩინელები, რომლებიც კაცობრიობის მეოთხედს შეადგენენ, ამიერიდან აღორძინდნენ. ჩინელები ყოველთვის იყვნენ დიდი, მამაცი და შრომისმოყვარე ერი და მხოლოდ უანლეს ხანებში ჩამორჩნენ. ეს ჩამორჩენლობა წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ უცხოეთის იმპერიალისტებისა და ჩინეთის რეაქციული მთავრობის მიერ ჩაგრისა და ექსპლოატაციის შედეგს. საუკუნეზე მეტია, რაც ჩვენს წინაპრებს არ შეუწყვეტიათ მუდმივი და თავდადებული ბრძოლა, მათ შორის 1911 წლის რევოლუციის დროსაც, რომელსაც სათავეში ედგა დოქტორი სუნ იატ-სენი, უცხოელი და შინაური მჩაგვრელების წინააღმდეგ მიმართული ჩინეთის რევოლუციის ეს მაუწყებელი. ჩვენმა წინაპრებმა გვიანდერძეს და ჩვენგან მოითხოვდნენ, რომ განგვეხორციელებინა მათი საუკეთესო ოცნება. ჩვენ ამას ახლა გავაკეთებთ. სახალხო-განმათავისუფლებელი ომია და დიდი სახალხო რევოლუციის მსვლელობაში ჩვენ დავამხეთ უცხოელი და შინაური მჩაგვრელები. ჩვენ გაცხადებთ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნას. ჩვენი ერი ამიერიდან იქნება მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე და თავისუფლებისმოყვარე ხალხთა დიადი ოჯახის წევრი. იგი თავდადებით და ბეჯითად იშრომებს, რათა შექმნას საკუთარი ცივილიზაცია და ბედნიერება, ამავე დროს იბრძოლოს საყოველთაო მშვიდობისა და თავისუფლებისათვის. ჩვენი ერი აღარასოდეს არ იქნება დამცირებული. ჩვენ უკვე აღორძინდით. ჩვენმა რევოლუციამ მოიხვეჭა მთელი მსოფლიოს ხალხების უპირველესი მასების სიმპათია და აღიარება, და ჩვენ მეგობრები გვყავს მსოფლიოს ყველა ნაწილში.

ჩვენი რევოლუციური მუშაობა ჯერ კიდევ არ დამთავრებულა, სახალხო-განმათავისუფლებელი ომი და სახალხო-რევოლუციური მოძრაობა განვითარებას განაგრძობენ, და ჩვენ მომავალშიც უნდა დავძლიოთ ჩვენი ძალები. იმპერიალისტები და შინაური რეაქცია, უეჭველია, არ შეურიგდებიან თავის დამარცხებას და ბოლომდე იბრძოლებენ. მას შემდეგაც კი, რაც ჩვენს ქვეყანაში მშვიდობა და წესრიგი დამყარდება, ისინი განაგრძობენ საბოტაჟს და ყოველგვარ ძირგამომთხრელ საქმიანობას და ყოველდღე, ყოველ წუთს ეცდებიან აღადგინონ ძველი წესრიგი. ეს გარდუვალი და უეჭველია, და ჩვენ არ უნდა შევეშინოთ ჩვენი სიფხიზლე.

სახალხო-დემოკრატიული დიქტატურის ჩვენი სახელმწიფო სისტემა მძლავრი იარაღია სახალხო რევოლუციის მონაპოვართა დასაცავად და უცხოელი და შინაური მტრების ის შეთქმულებათა წინააღმდეგ სიმრთლეველად, რომლებსაც ისინი მიმართავენ ძველი წყობილების ასაღორძინებლად. და ჩვენ მაგრად უნდა გავჭიროს ეს იარაღი. საერთაშორისო მიმართულებით ჩვენ უნდა გავერთიანდეთ ყველა მშვიდობისმოყვარე და თავისუფლებისმოყვარე ქვეყანასა და ხალხთან და პირველ რიგში საბჭოთა კავშირთან და ახალი დემოკრატიის ქვეყნებთან, რათა მარტონი არ ვიყოთ სახალხო რევოლუციის გამარჯვების მონაპოვართა შენარჩუნებისათვის ბრძოლაში და წინააღმდეგობა გავუწიოთ შინაურ და გარეშე მტრებს, რომლებიც ეცდებიან ძველი წყობილების აღდგენას. თუ ჩვენ შევინარჩუნებთ სახალხო-დემოკრატიულ დიქტატურასა და ერთიანობას ჩვენს საერთაშორისო მეგობრებთან, ყოველთვის გამარჯვებთ.

სახალხო-დემოკრატიული დიქტატურა და ერთიანობა ჩვენს საერთაშორისო მეგობრებთან შესაძლებლობას მოგვცემს მალე მოვიპოვოთ წარმატებანი ჩვენს შემოქმედებითს მუშაობაში. ჩვენ უკვე ვდგავართ საერთო-ეროვნული ეკონომიური მშენებლობის გაჩაღების ამოცანის წინაშე. ჩვენთვის მეტად ხელსაყრელი პირობებია: მოსახლეობა 475 მილიონი კაცის რაოდენობით და 9.597 ათასი კვ. კილომეტრი ტერიტორია. ჩვენს წინაშე სიძნელეებია და, უფრო მეტიც, მრავალი სიძნელეა, მაგრამ ჩვენ მტკიცედ გვწამს, რომ ჩვენი ქვეყნის ხალხის თავდადებულ ბრძოლაში ყველა სიძნელე გადალახულ იქნება. ჩინელ ხალხს აქვს მეტად მდიდარი გამოცდილება სიძნელეთა გადალახვაში. თუ ჩვენმა წინაპრებმა და თვითონ ჩვენ შევძელით გაგვეკლო გრძელი და მეტად ძნელი გზა და გაგვანადგურებინა ძლიერი, შინაური და უცხოელი რეაქციონერები, განა ვერ შევძლებთ გამარჯვების შემდეგ შევქმნათ მდიდარი და აყვავებული ქვეყანა? თუ ჩვენ ვაწარმოებთ შეუპოვარ ბრძოლას, თუ შევინარჩუნებთ ერთიანობას, განვახორციელებთ სახალხო-დემოკრატიულ დიქტატურას და შევინარჩუნებთ ერთიანობას ჩვენს საერთაშორისო მეგობრებთან, მაშინ შევძლებთ მალე მოვიპოვოთ გამარჯვება ეკონომიურ ფრონტზეც.

ეკონომიური მშენებლობის აღმავლობასთან ერთად აუცილებლად დაიწყება აღმავლობა კულტურულ მშენებლობაშიც. ახლა უკვე წავიდა ის დროს, როცა ჩინელებს არაცივილიზებულ ერად თვლიდნენ. ჩვენ მსოფლიოს ასპარეზზე კაზოვალთ როგორც მაღალცივილიზებული ერი.

ჩვენი ეროვნული თავდაცვა განმტკიცდება და იმპერიალისტებს ნებას არ მივცემთ კვლავ შემოიჭრან ჩვენს ტერიტორიაზე. უნდა შევინარჩუნოთ ჩვენი სახალხო შეიარაღებული ძალები და განვავითაროთ ისინი მამაცი და გამოწრთობილი სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ბაზაზე. ჩვენ გვეყოლება არა მარტო ძლიერი არმია, არამედ აგრეთვე ძლიერი ავიაცია და ძლიერი სამხედრო-საზღვაო ფლოტი. დაე ძრწოდნენ ჩვენს წინაშე რეაქციონერები ჩვენს ქვეყანაში და საზღვარგარეთ. დაე ამტკიცონ მათ, რომ ჩვენ გვაქვს ესა თუ ის ნაკლი. ჩინელი ხალხი განუწყვეტელი ღონისძიებებით თანდათანობით მიაღწევს თავის მიზანს.

სამარადისო ხსოვნა სახალხო გმირებს, რომლებიც დაეცნენ სახალხო-განმათავისუფლებელ ომში და სახალხო რევოლუციაში!

ცოცხლობდეს სახალხო-განმათავისუფლებელი ომისა და სახალხო რევოლუციის გამარჯვება!

გაუმარჯოს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას!

გაუმარჯოს ჩინეთის სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო კონფერენციის წარმატებას!"

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეოთხე სესია

ნიუ-იორკი, 22 სექტემბერი. (საკდესი). 21 სექტემბერს გენერალური ასამბლეის პლენარულ სხდომაზე დაიწყო საერთო დისკუსია. პირველი გამოვიდა ბრაზილიის წარმომადგენელი დე ფრეიტას ვალე, რომელმაც მწუხარება გამოთქვა იმის გამო, რომ „ზოგი ვიმეე სარგებლობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციით თავისი მიზნებისათვის და მას კი არ ემსახურება". ბრაზილიის დელეგატი გამოვიდა აგრეთვე იმ მისწრაფების წინააღმდეგ, რასაც კოლონიური სახელმწიფოები აჩენენ, — „იდმინისტრაციული კავშირების" სახით ჩანთქვან ის კოლონიები, რომლებიც კოლონიური სახელმწიფოების დროებით მმართველობაში იმყოფებიან.

შემდეგ სიტყვა მიეცა ამერიკის დელეგაციის ხელმძღვანელს აჩესონს. აჩესონმა გააკეთა რამდენიმე საერთო დეკლარაციული ხასიათის შენიშვნა და გადავიდა გენერალური ასამბლეის შესახებ ამერიკის დელეგაციის პოზიციის ჩამოყალიბებაზე. მან თქვა, რომ ეს საკითხები „ეხებიან მსოფლიო პრობლემების საარსებოდ მნიშვნელოვან საერთო კომპლექსს" და რომ ამ საკითხებზე კიდევაც რომ მოიძებნოს სწორი პასუხი, „მარტო ეს ვერ შეიტანს სასურველ ცვლილებას მსოფლიო საქმეებში".

აჩესონმა დაიწყო ყბადაღებული „საბერძნეთის საკითხით", რასაც უკვე მესამე წელია იყენებენ ინგლის-ამერიკის დელეგატები გენერალურ ასამბლეაში. ამ ვითომდა „საშიშროებათა" შესახებ ჭორების გასავრცელებლად, რომლებიც თითქოს საბერძნეთს ემუქრებიან მისი მეზობელი ქვეყნების მხრივ, მან განაცხადა, რომ „ოუგოსლავიამ შეამცირა, ხოლო შესაძლებელია, კიდევ შეწყვიტა დახმარების გაწევა ბერძენი პარტიზანებისათვის". მაგრამ „საფრთხე მაინც არსებობს", — ამტკიცებდა აჩესონი, და უსასუფთოდ სდებდა ბრალს ალბანეთს ბერძენი პარტიზანებისათვის დახმარების გაწევაში. ამრიგად, ამერიკის დელეგაციამ ამჯერადაც ცხადყო, რომ იგი უთარ არ იტყვის ჭორების გავრცელებაზე რაღაც „საფრთხის" შესახებ, რომელიც თითქოს საბერძნეთს ემუქრება, ძნელი არ არის იმის დანახვა, რომ ასეთი ჭორები განკუთვნილია იმისათვის, რომ ყურადღება ჩამოაშორონ იმ მძიმე ვითარება ტერორს, რაც ბერძენი ხალხის წინააღმდეგ გაჩაღეს საბერძნეთის მონარქისტ-ფაშისტებმა ინგლის-ამერიკის დახმარებითა და მფარველობით.

შემდეგ აჩესონმა განაცხადა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგრეთ წოდებულმა კორეის კომისიამ უნდა განაგრძოს თავისი საქმიანობა და რომ ამერიკის შეერთებული შტატები წინანდებურად დაეხმარებიან ამ კომისიას. მან აგრეთვე აგრძნობინა ასამბლეას, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ალვა იჩენენ ინტერესს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პალესტინის კომისიის შემდგომი საქმიანობისადმი და არაბთა სახელმწიფოებს და ისრაელს შორის მოსაპაიკებლადმი და აზრი გამოთქვა ქალაქ იერუსალიმზე საერთაშორისო კონტროლის დაწესების სასარგებლოდ.

ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა მხარს დაუჭერს „სუსტად განვითარებული რაიონების ეკონომიური განვითარებისათვის ტექნიკური დახმარების" პროგრამას. ფართოდ ცნობილია, რომ ეს პროგრამა, რომელიც დამყარებულია ტრუმენის პროგრამის ყბადაღებულ „მეოთხე პუნქტზე", წარმოადგენს იმ ქვეყნების კოლონიზაციისა და ამერიკის პოლიტიკური და ეკონომიური ინტერესებისადმი სრული დაქვემდებარების ცუდად შენიღბულ გეგმას, რომლებიც საკმაოდ ძლიერი არ არიან, რათა წინააღმდეგობა გაუწიონ ამერიკის მონოპოლიების ექსპანსიას.

აჩესონმა თქვა, რომ მისი დელეგაცია იმის მომხრეა, რომ საერთაშორისო სასამართლოს გადაეცეს ყბადაღებული ბრალდებანი ეგრეთ წოდებული „რელიგიის თავისუფლების დარღვევის" გამო, რომლებიც შეერთებულმა შტატებმა უნგრეთს, ბულგარეთსა და რუმინეთს წაუყენეს, და ამასთან გაანაცხადა, რომ ამ საკითხში ამერიკის შეერთებული შტატები „დაინტერესებული მხარეა". არ შეიძლება არ დავინახოთ, რომ უნგრეთში, ბულგარეთსა და რუმინეთში რელიგიის თავისუფლების ვითომდა „დარღვევის" შესახებ ამ დაუსაბუთებელი და, უკვე დიდი ხანია ცარყოფილი ჭორების გარშემო რეაქციული ხმაურის განახლება ამერიკის დელეგაციის მიერ სრულიადაც არ მოწმობს იმას, რომ იგი აპირებს ხელი შეუწყოს გენერალური ასამბლეის წარმატებითს მუშაობას.

აჩესონ ამტკიცებდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები თითქოს „განაგრძობენ ბრძოლას ატომის ენერგიისადმი საერთაშორისო კონტროლის ეფექტიანი სისტემის შექმნისათვის, სისტემისა, რომელიც ეფექტიანს გახდის ატომური იარაღის აკრძალვას". ამიტომ, განაცხადა მან, ამერიკის შეერთებული შტატები მზარს უჭერენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ატომის ენერგიის კომისიის მიერ წარმოდგენილ კონტროლის გეგმას.

მაგრამ ცნობილია, რომ ამერიკის გეგმები ატომის ენერგიის შესახებ, რომლებიც ხელოვნებით დაადასტურა ატომის ენერგიის კომისიის უმრავლესობამ, როგორც ცა დედამიწას, ისეა დაშორებული ომს, რომ ხელი შეუწყოს ამ საკითხის გადაჭრას, და რომ ეს გეგმები მიმართულია ამ მნიშვნელოვან დარგში ამერიკის მონოპოლიებისა და სამხედრო წრეების ბატონობის უსინდისოდ ექსტრემალურ მოთხოვნებზე. ეს ფაქტი ნათლად ჩანს. ეგი ამტკიცებდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები თითქოს მზად არიან „განიხილონ ყოველი წინადადება, რომელიც კეთილსინდისიერებით იქნება წამოყენებული ატომის ენერგიისადმი ქმედითი კონტროლისა და ქმედითი აკრძალვის შესახებ".

ამერიკის დელეგაციის ხელმძღვანელმა გაანაცხადა, რომ ამჟამად „შეიარაღების რეგულირებისა და შემცირების საკითხში" საყოველთაო შეთანხმების მიღწევის უშუალო პერსპექტივა „არ არსებობს". განაცხადა რა, რომ ჩვეულებრივი შეიარაღების კომისია დაგვეხმარა იმაში, რომ „სასარგებლო საწყისი მოგვცა შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების რეგულირებისა და შემცირების სისტემის დაწესების საქმეში, როცა ეს პრაქტიკულად შესაძლებელი გახდება", აჩესონმა ამ თქვა, რომ ამ გზის გადადგმა განსაზღვრულებელი შეიარაღების შემცირება, და დაკმაყოფილდა მხოლოდ სტერეოლის გამოთქმით, რომ კომისიამ განაგრძოს მუშაობა გეგმების შესადგენად, „რათა ეს გეგმები ხელთ გვექნეს, როცა შეიქმნება მათი განხორციელების შესაძლებლობა".

დასასრულ აჩესონი ცდილობდა გაემართლებინა ჩრდილოეთ ატლანტიკის აგრესიული ხელშეკრულების დადება და ამტკიცებდა, რომ თითქოს ეს ხელშეკრულება შეესაბამება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას. აღნიშნა რა, რომ ეს ხელშეკრულება აგებულია „საამერიკათაშორისო თავდაცვის" შესახებ რიო-დე-ჟანეიროში დადებული შეთანხმების პრინციპის მიხედვით, აჩესონმა განაცხადა, რომ „ორივე ეს ხელშეკრულება შედგენილია კოლექტიური მოქმედების პრინციპის შესაბამისად აგრესიისათვის წინააღმდეგობის გასაწევად, რა პრინციპსაც თავისი გამოხატულება ჰპოვა წესდებაში", თუმცა ამ ხელშეკრულების აგრესიულ ხასიათს შეერთებულ შტატებშიც კი აღიარებენ.

კუბის დელეგატი ევია უჩიოდა ეკონომიურ სიძნელეებს, რომლებიც „თავს იჩენენ ბევრ ქვეყანაში", კერძოდ, კუბაზე „მას შემდეგ, რაც დაიწყო მისი ექსპორტისა და იმპორტის შემცირება". კუბის დელეგატი უჩიოდა აგრეთვე „ზოგიერთ საერთაშორისო საკითხ შეთანხმებას, რომლებიც ადიდებენ ზოგიერთი ქვეყნის სიმდიდრეს იმ სხვა ქვეყნების საზიანოდ, რომელთა ეკონომიკაც ჯერ კიდევ საკმაოდ არ არის განვითარებული". არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ ეს საჩივარი მიმართული იყო შეერთებული შტატების წინააღმდეგ, თუმცა კუბის დელეგატმა ვერ გაბედა დაესახელებინა ამერიკის შეერთებული შტატები.

შემდეგ გამოსული ინდოეთის დელეგატი ბ. რაუ ჭუბა-დიდებას ასცამდა „მიმდინარე წლის ივნისში დელში შემდგარ აზიური ქვეყნების კონფერენციას და მას სახავდა როგორც „დედამიწის ამ ნაწილში სახელმწიფოთა შორის აქტიური თანამშრომლობის დასაწყისს". რაუ ამტკიცებდა, რომ ამ კონფერენციის ორგანიზატორებს გათვალისწინებული არა ჰქონით შეექმნათ „მხოლოდ და მხოლოდ აზიური ბლოკი". მან განაცხადა, ინდოეთი პრინციპულად ეთანხმება არბიტრაჟს ქაშმირის საკითხში, მაგრამ მტკიცედ მოითხოვს, რომ არბიტრაჟი ხდებოდეს „წინასწარ ნათლად შემოფარგლული საკითხების მიხედვით". ინდოეთის დელეგატი მოუწოდებდა ასამბლეას გადაჭრას საკითხი იტალიის ყოფილი კოლონიების შესახებ „ამ ტერიტორიების მოსახლეობის სურვილისა და ინტერესების მიხედვით" და აზრი გამოთქვა ამ კოლონიებზე საერთაშორისო მეურვეობის დაწესების სასარგებლოდ.

ინდოეთის დელეგატი გაკვრით შეეხო საჭირო აფრიკის კავშირის ინდოელებს დევნის საკითხს, რომელიც გენერალური ასამბლეის წარსული სესიის გადაწყვეტილებით ერთად უნდა განიხილონ სამხრეთ აფრიკის კავშირმა, ინდოეთმა და პაკისტანმა. ეს გადაწყვეტილება, მიღებული, როგორც ცნობილია, ინგლის-ამერიკის ბლოკის ხმებით, დამაკმაყოფილებელი არ იყო და არ შეეძლო რადენადმე მაინც შეეწყო ხელი სამხრეთ აფრიკის კავშირში რასობრივი დისკრიმინაციის მოსპობისათვის. რაუმ განაცხადა, რომ ინდოეთის დელეგაცია ამ საკითხს არ აღძრავს ახლანდელ სესიაზე, თუმცა, მისი აღიარებით, ამკამად მისი მოწესრიგების პერსპექტივა „ბრწყინვალე რიდია". შემდეგ რაუმ განაცხადა, რომ სამხრეთ აფრიკის კავშირის მთავრობა არ ასრულებს გენერალური ასამბლეის მესამე სესიის გადაწყვეტილებას საერთაშორისო მეურვეობის სისტემაში სამხრეთ-დასავლეთი აფრიკის ტერიტორიის შეყვანის შესახებ.

სირიის წარმომადგენელი ფარის-ელ-ჰური გამოვიდა არაბთა სახელმწიფოების კანონიერი უფლებების იმ უგულებელყოფის წინააღმდეგ, რომელიც შედეგია „ძალის პოლიტიკისა", რასაც იმპერიალისტური ქვეყნები აღმოსავლეთის ქვეყნების მიმართ ახორციელებენ. მან გაიხსენა, რომ დასავლეთელმა მოკავშირეებმა 1941 წელს ხელი შეუშალეს ნაციზმისა და ფაშიზმისათვის ომის გამოცხადებას არაბთა სახელმწიფოების მხრივ. „ომის დამთავრებისთანავე, — თქვა სირიის დელეგატმა,—ცხადი გახდა, რომ მოკავშირეებმა შეთქმულება მოაწყეს ჩვენს წინააღმდეგ და რომ ჩვენ მიერ ომის გამოცხადება ბოლოს მოუღებდა ამ შეთქმულებას. ჩვენ რომ ომი გამოგვეცხადებინა ფაშისტური ღერძის ქვეყნების წინააღმდეგ, ჩვენ გვეყოლებოდა გაჭირვებული შეიარაღებული არმიები, რომლებიც დაიკავებენ არაბთა ქვეყნებს, ეს კი არ შეესაბამებოდა დასავლეთელი მოკავშირეების მიზნებს".

ელ-ჰური გამოვიდა „ცივი ომის" წინააღმდეგ და განაცხადა, რომ ინდონეზიის, არაბთა ქვეყნებისა და საბერძნეთის ხალხები უკვე დაზარალდნენ ამ „ცივი ომით". „მათი სახლები უკვე იწვის, ცეცხლზე კი წყლის ნაცვლად ნავთს ასხამენ". სირიის დელეგატმა მოიწოდა ომ დიდ სახელმწიფოთა წარმომადგენლებს, რომელნიც ხარბი თვალით უცქერიან მცირე ქვეყნების ნაყოფიერ მიწებსა და სტრატეგიულ მდგომარეობას, შეზღუდონ თავისი მისწრაფებანი.

ელ-ჰურომ თავისი გამოსვლა დაამთავრა მცირე ქვეყნებისადმი მოწოდებით — მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდონ კენჭისყრას და „საკუთარი გათვალისწინონ თავისი ხმის მიცემის შედეგები". იგი მოუწოდებდა — უარი თქვან ხმების გაჭრობაზე და მეტი პატიოსანებით მოეკიდონ ამ ხმების გამოყენებას.

ამით დამთავრდა გენერალური ასამბლეის დილის სხდომა. დღისით შედგა გენერალური კომიტეტის სხდომა, რომელზეც განიხილავდნენ სესიის დღის წესრიგს. საერთო დისკუსია ხვალ გაგრძელდება.

„ხარატაანთ კერა"

მარჯანიშვილის თეატრის ახალი სპექტაკლი

მარჯანიშვილის თეატრმა ახალი სეზონი გახსნა მიხეილ მრევლიშვილის პიესით „ხარატაანთ კერა".

სამამულო ომში გამარჯვებული საბჭოთა ხალხის თავდადებული ბრძოლა ჩვენი სახალხო მეურნეობის აღდგენისა და შემდგომი განვითარებისათვის, საკოლმეურნეო სოფლის თანამედროვე ცხოვრება, მისი საუკეთესო ადამიანების საგმირო საქმეები შეადგენენ ამ შესანიშნავი პიესის თემას.

პიესისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია კომპოზიციური მთლიანობა, ღრმა დრამატიზმით გამსჭვალული მოქმედება, მდიდარი, სახოვანი, კოლორიტული ენა.

მაგრამ ძირითადი ღირსება ამ პიესისა მდგომარეობს, რასაკვირველია იმ ახლებურ გრძნობასა და თვალში, რომლითაც დანახული და ასახულია ჩვენი ხალხის შემოქმედებითი, კოლექტიური, აზრიანი შრომა, ის, რაც შინაარსს აძლევს ყოველი საბჭოთა ადამიანის ცხოვრებას, შეადგენს მის ბედნიერებას.

„ხარატაანთ კერა" არის ნაწარმოები ახალ ადამიანთა კოლექტივის ძლიერებაზე, ადამიანებზე, რომელნიც ახლებურად ეკიდებიან ერთმანეთს, აქვთ ახალი თვალთახედვა, წმინდა, მაღალი და კეთილშობილური გრძნობები.

პიესის პარალელური, არანაკლებ მნიშვნელოვანი თემაა ახალი, საბჭოთა თაობის ბრძოლა ძველი ადათ-ჩვეულების, მამა-პაპური ტრადიციებისა და შეხედულებების წინააღმდეგ, რომელთაგან ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლებულა ძველი თაობის გლეხობის ერთი ხაწილი.

პიესის ცენტრშია ძველი, ტრადიციული გლეხის ოჯახი—ხარატაანთ ოჯახი. ოჯახის უფროსი ზურია ხარატელი ერთი ფეხით ახალ ცხოვრებაში დგას, მეორით კი ძველში. მან. გამრჯე და შრომისმოყვარე ადამიანმა, გაიგო და დააფასა ახალი ცხოვრება და ახალი ადამიანები. ზურია ამაყობს თავისი შვილით გიორგით — სოფლის საუკეთესო კოლმეურნე ახალგაზრდით. მაგრამ ძველ ადათ-ჩვეულებს, ხარატაანთ კერისათვის დამახასიათებელ მამა-პაპურ ტრადიციებს, დრომოჭმულ ცრუმორწმუნეობას ჯერ კიდევ ტყვეობაში ჰყავთ ოჯახის უფროსი. მისი მეუღლე მართა, და განსაკუთრებით პაპა თორნიკე გულმოდგინედ იცავენ ხარატაანთ ოჯახში დამკვიდრებულ ძველებურ ჩვეულებებს.

პიესის ერთ-ერთი მთავარი გმირია ხარატაანთ ოჯახის რძალი ნატო. მრავალი უბედურება დაატყდა თავს ახალგაზრდა ქალს — ომში უგზო-უკვლოდ დაიკარგა მისი საყვარელი ქმარი, ზურიას ერთადერთი ვაჟი გიორგი. ხარატაანთ ოჯახში გაბატონებული ცრუმორწმუნეობის გავლენით, გიორგის დედ-მამის დაჟინებული თხოვნით ნატო წასულა სალოცავში ღვთაებისათვის ზვარაკის შესაწირავად და გიორგის სახელზე სანთლების დასანთებად. მას თან წაუყვანია თავისი პატარა ვაჟი გიგლა. მაგრამ ნატოსათვის საბედისწერო აღმოჩნდა ეს დათმობა: მისი პატარა შვილი შეეწირა ამ ღამეს — ავად გახდა და ნატოს ხელიდან გამოეცალა.

განუზომელი უბედურება დაატყდა ხარატაანთ ოჯახს პატარა გიგლას სიკვდილის შემდეგ. ზურიას ოჯახის შენარჩუნების უკანასკნელი იმედი გაუქრა, რაც მისთვის უდიდეს ტრაგედიას წარმოადგენს. ნატო შვილის სიკვდილმა სულიერად გატეხა. იგი სასოწარკვეთილებაშია ჩავარდნილი, მას აღარაფერი აინტერესებს. თავის უბედურებას მიენდო და ტანჯულ ცხოვრებას ატარებს ხარატაანთ გაციებულ კერასთან.

და აი მაშინ, როდესაც ნატო უკვე სრულიად სასომიხდილია, მას მხარში ამოუდგება საკოლმეურნეო სოფელი. მასზე ფიქრობენ, წუხან და ზრუნავენ მისი თანასოფლელები, განსაკუთრებით კი კოლექტივის თავმჯდომარე აკმია ხუცურაული—ნატოს ქმრის საუკეთესო მეგობარი.

აკმია ხუცურაულის სახით ავტორმა წარმოგვიისახა სოფლის ახალი თაობის საუკეთესო წარმომადგენელი. ავტორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან შეძლო აკმიას სახე დაეხატა მრავალმხრივად, ხორცშესხმულად, დამაჯერებლად. აკმია საკოლმეურნეო სოფლის ღირსეული წინამძღოლია. მას ღრმად შეუსისხლხორცებია სახალხო საქმისადმი ერთგულების გრძნობა, გულისხმიერი და გონიერი ხელმძღვანელია. აკმიას ესმის, რომ მხოლოდ შრომას, კეთილშობილურ კოლექტიურ, სახალხო შრომას შეუძლია განკურნოს სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი ნატო. იგი წინადადებას აძლევს ნატოს გამოვიდეს საშუშაოდ კოლმეურნეობაში. მრავალი წინააღმდეგობის შემდეგ, რასაც ზურია უწევს თავის რძლის ოჯახიდან გასვლას, ნატო აკმიას გავლენით ებმება სოფლის ცხოვრებაში. ნატოს ირჩევენ რგოლის ხელმძღვანელად და აბარებენ მუშაობის მეტად პასუხსაგებ უბანს — ნინიასეულ ვენახს, რომელიც თითქმის დაუფუპვამდეა მისული ომის დროს მუშახელის ნაკლებობის გამო.

აქედან იწყება ნატოს სულიერი აღორძინება. ხალხის ნდობამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნგრეთის სახელმწიფო დამნაშავის რაიკისა და მის თანამონაწილეთა სასამართლო პროცესი

ბრალდებულთა სკამზე სხედან არა მარჯო რაიკი და მისი თანამონაწილენი, არამედ მათი გაჭონებიც გელგრადიდან და ვაშინგტონიდან

სახელმწიფო პროკურორის დიუდა ალპის სიტყვა

ბუდაპეშტი, 21 სექტემბერი. (საკდესი). დღეს უნგრეთის სახელმწიფო დამნაშავის რაიკისა და მის თანამონაწილეთა პროცესზე სიტყვა წარმოთქვა სახელმწიფო პროკურორმა დიუდა ალპიმ.

თავის სიტყვაში მან თქვა:

პატივცემულო სახალხო სასამართლო!

ლასლო რაიკისა და სხვა შეთქმულთა — მის თანამონაწილეთა პროცესმა, რომელიც უკვე დაახლოებით ერთი კვირაა გრძელდება აქ, კანონიერად გამოიწვია უდიდესი გამოხმაურება ჩვენს მშრომელ ხალხში, ჩვენს უცხოელ მეგობრებში და ასევე ჩვენს უცხოელ მტრებშიც. ეს გასაგებიცაა. ამ პროცესს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, გადაუჭარბებლად შემიძლია განვაცხადო, რომ მას საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს. აქ ხომ განიხილნი უნდა გამოვუტანოთ არა მარტო ისეთ ბრალდებულებს, რომლებსაც ხელი აღმართეს ჩვენი სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი წყობილების, ჩვენი დემოკრატიის დიდ მონაპოვართა წინააღმდეგ, არამედ ისეთებსაც, რომლებიც თავიანთ შეთქმულებითს საქმიანობაში სოციალიზმის მშენებელი უნგრელი მშრომელი ხალხის უცხოელი იმპერიალისტი მტრების იარაღი, მარionეტები იყვნენ. ბრალდებულთა სკამზე სხედან არა მარტო რაიკი და მისი თანამონაწილენი, არამედ მათი უცხოელი ბატონებიც, მათი წამქეზებლები — იმპერიალისტები ბელგრადიდან და ვაშინგტონიდან.

რით არის დამახასიათებელი ეს პროცესი? იგი დამახასიათებელია, პირველ რიგში, არა იმით, პატივცემულო სახალხო სასამართლოვ, რომ ბრალდებულთა სკამზე სხედან უნგრეთის სახალხო დემოკრატიის დაუძინებელი მტრები. ჩვენი სახალხო დემოკრატიის დაუძინებელ მტერი ხომ ფერენც ნადის შეთქმულთა კომპანიაც იყო, რომელსაც უნგრეთის სახალხო სასამართლომ თავის დროზე გამოუტანა განაჩენი. ჩვენი სახალხო დემოკრატიის დაუძინებელი მტერი იყო იო

უნგრეთის სახელმწიფო დამნაშავის რაიკისა და მის თანამონაწილეთა სასამართლო პროცესი

ბრალდებულთა სკამზე სხედან არა მარტო რაიკი და მისი თანამონაწილენი, არამედ მათი ბატონებიც ბელგრადიდან და ვაშინგტონიდან

სახელმწიფო პროკურორის დიდი აღაპის სიტყვა

(დასასრული)

სრულიადაც არა საინფორმაციო ბიუროს რეზოლუციის შემდეგ!

ბრანკოვმა აღიარა, რომ იუგოსლავიის სამხედრო მისიის თანამშრომლებმა ივორსკიმ და კოვაჩმა უკვე 1945 წელს მიიღეს განსაკუთრებული დავალება — ეწარმოებინათ დაზვერვა საბჭოთა საოკუპაციო ჯარების წინააღმდეგ უნგრეთში. რაიკის დავალებით, ენდრე სებენინმ, რომელიც მაშინ შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატს-მდივანი იყო, გადასცა ციცმილს მთელი მასალა ფერენც ნადის შეთქმულების საქმეზე, რათა ციცმილს ეს მასალა გადაეცა ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლებისათვის ბუდაპეშტში. ბრანკოვმა ილაპარაკა, რომ იუგოსლავიის პრემიერ-მინისტრის მოადგილე კარდელი 1946 წელს მოითხოვდა ციცმილისაგან სასწრაფო ინფორმაციას უნგრეთის საშინაო მდგომარეობის შესახებ, რისთვისაც იმიზეზებდა იმას, რომ ეს მასალა სასწრაფოდ უნდა გადაეცეს ინგლისისა და ამერიკის მისიებსო.

ამერიკის დაზვერვის ორგანოებთან ტიტოს ხროვის მჭიდრო და დიდი ხნის ურთიერთობას ისიც ადასტურებს, რომ მარტონ ჰიმლერმა 1946 წელს ფორმალურად გადასცა და დაუქვემდებარა რაიკი რანკოვიჩს, ადასტურებს აგრეთვე ის, რომ რანკოვიჩს მხოლოდ ამერიკის დაზვერვის ორგანოებისაგან შეეძლო მიეღო ფოტოპირი რაიკის ვალდებულებისა ჯაშუშად გახდომის შესახებ, ვალდებულებისა, რომელიც მან დაწერა 1931 წელს და რომლის საშუალებითაც რანკოვიჩმა 1947 წლის ზაფხულში ადაციაში ფორმალურად აიყვანა უნგრეთის მაშინდელი შინაგან საქმეთა მინისტრი იუგოსლავიის დაზვერვის სამსახურში. ეს ფოტოპირი უნგრეთის პოლიციის არქივთან ერთად შიმპორ-შვეინტცერმა ამერიკელებს გადასცა.

მთელი ეს ფაქტები და რანკოვიჩ ჩვენება იუგოსლავიის პარტიზანული ბრძოლის კულისების სიდიდემლოებათა შესახებ ახლებურად ამჟღერებენ ტიტო, კარდელი, რანკოვიჩის, ჯილასის მთელ წარსულ და მათს როლს იუგოსლავიის პარტიზანულ ბრძოლაში. ტიტოელებმა ეკვე ომის დროს პარტიზანულ უმაღლეს შტაბში გამოგზავნილი ამერიკელი და ინგლისელი ოფიცრების მეშვეობით კურსი აიღეს ინგლის-ამერიკის იმპერიალისტებზე და მათთან თანამშრომლობდნენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლაში, მაშინ როცა საბჭოთა არმია სისხლს ღვრდა იუგოსლავიის განთავისუფლებისათვის. ეუთოვიჩისა და ხებრანგის წინააღმდეგ ბრძოლა იყო ტიტოელთა ბრძოლა იმ ნამდვილი იუგოსლავიელი პატრიოტების წინააღმდეგ, რომლებიც უკვე პარტიზანული ბრძოლის დროს ამჟღერებდნენ ინგლისელ და ამერიკელ იმპერიალისტებთან და მათს დაზვერვის ორგანოებთან თანამშრომლობის წინააღმდეგ. დრამატული იერი აქვს ბრანკოვის ჩვენებას, როცა იგი ამბობს, რომ ტიტოელები პარტიზანული ბრძოლების დროს უეჭველად სასიკვდილოდ გზავნადნენ ასობით მატიოსან იუგოსლავიელ კომუნისტს წინასწარ მოფიქრებული განზრახვით — ამგვარად უნდოდათ უზრუნველყოთ ომის დამთავრების შემდეგ თავიანთი ძალაუფლება იუგოსლავიაში და პარტიაში.

იმპერიალისტების დაზვერვის ორგანოებთან იუგოსლავიის გაბატონებული ხროვის თანამშრომლობის მიხედვით უფრო გასაგები ხდება ტიტოელთა საქმიანობა უნგრეთში, იუგოსლავიის მისიის მუშაობის მეთოდები, რომლებიც მიმართული იყო უნგრეთის დემოკრატიისათვის ძირის გამოსათხრელად. ომის გამო, რომ ტიტოელები უცხოეთის დაზვერვითი ორგანოების სამსახურში იმყოფებოდნენ და მათგან შეითვისეს განგსტერული ხერხები, რომლებიც ფეხქვეშ თელავენ ყველა მორალურ და ჰუმანისტურ წესს, ისინი თვითონ იყენებდნენ ამ ხერხებს და თავიანთი მისია ბუდაპეშტში გადაქციეს ჯაშუშთა და შეთქმულთა ცენტრად, რომელიც ამ განგსტერულ ხერხებს იყენებს. რანკოვიჩის დამახასიათებელია, თუ როგორ უწევს იგი აბაციაში შანტაჟს ლასლო რაიკს. მას არ აკმაყოფილებს პოლიტიკური თანამშრომლობა, რაც რაიკმა შესთავაზა. მან ჯიბიდან ამოიღო რაიკის 1931 წლის განცხადება ჯაშუშად გახდომის ვალდებულების შესახებ და ყოველი წესის დაცვით აიყვანა იგი იუგოსლავიის ჯაშუშად და, როგორც ასეთს, ეპყრობა მას შემდგომ პერიოდშიც. ტიტოელთა ამ განგსტერული ხერხების დამახასიათებელია, რომ თავიანთ აგენტებს უნგრეთში ისინი აგროვებდნენ მხოლოდ და მხოლოდ ჰორტის ძველ ჯაშუშთა და პროვოკატორთაგან. ეს შეეხება არა მარტო რაიკს, არამედ ანტონ როხსაც, ანდრაშ სალაისაც, ანტალ ბანსაც, თანაბრად ყველა იუგოსლავიელ აგენტს, როგორც მცირე ჯაშუშური სამუშაოს შემსრულებლებს, ისე დიდ პოლიტიკურ აგენტებსაც.

გასაკვირველი არ არის, რომ ამერიკის დაზვერვის ორგანოების სკოლასა და ინტელიჯენს სერვისში გამოზრდილი რანკოვიჩი, რომელიც ქება-დიდებას ასხამს გესტაპოს, უნგრეთში იუგოსლავიელ დიპლომატთა სახით გზავნის ბანდიტებს, ჯაშუშებსა და კაცის მკვლელებს.

გასაკვირველი არ არის, რომ, იგი, მხილების შიშით, მითითებას იძლევა მოკლან მიღოშ მოიჩი, გზავნის ბუდაპეშტში „სპეციალისტებს" — კაცის მკვლელებს ივოანოვიჩსა და ოიოკოვიჩს, რომ იუგოსლავიის ბუდაპეშტის მისიის საკონსულო განყოფილება ყალბ პასპორტებს ამზადებდა, იტაცებდა ცალკეულ პირებს და აწყობდა გაქცევას, რომ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ შეიარაღებული გადატრიალების მთავარი ორგანიზატორი იყო იუგოსლავიის მისია ბუდაპეშტში, რომ ტიტოს ხროვა პროვოკაციებით, სასაზღვრო ინციდენტებით, შეიარაღებული დასპარეტებით, ამერიკისა და ინგლისის საოკუპაციო ზონებში მყოფ უნგრელ ფაშისტთა ქვეგანყოფების იუგოსლავიის ტერიტორიით უნგრეთში გადაყვანით, მზად იყო დახმარებოდა შეთქმულებს, რომლებმა მიზანიც იყო უნგრეთის სახალხო დემოკრატიის დამხობა.

ეს განგსტერული ხერხები, ბუნებრივია, თან ახლავს იუგოსლავიის მოღალატეთა პოლიტიკურ პროგრამას. პროცესმა მკაფიო შუქი მოფინა ამ პოლიტიკურ პროგრამასაც. ამ პოლიტიკური პროგრამის არსია დასავლეთელი იმპერიალისტებისადმი სამსახური დემოკრატიისა და სოციალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, პირველ რიგში სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში. რაიკმა და ბრანკოვმა ილაპარაკეს აქ, თუ რა პროგრამა ჰქონდათ ტიტოელებს იუგოსლავიის ჰეგემონიის შესახებ, იუგოსლავიის ხელმძღვანელობით ბალკანეთის სახელმწიფოთა ბლოკის შესახებ. ამ ბლოკში იუგოსლავიის ხელმძღვანელი როლი იმას შეუწყობდა ხელს, რომ ეს ქვეყნები თანდათანობით აემხედრებინათ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და იმპერიალიზმის უღელი დაედგათ მათთვის. რაიკმა რანკოვიჩთან ადაციაში, კელენისა და პაუში თავისი საუბრების საფუძველზე დახატა სრული და დამაჯერებელი სურათი ტიტოს პოლიტიკისა და ტაქტიკისა, რაც მიმართული იყო იქითკენ, რომ შეექმნათ ბალკანეთის ქვეყნების ანტისაბჭოთა ბლოკი, რომელიც იმპერიალისტების სამსახურში იქნებოდა.

ტიტოს ხროვის პოლიტიკაში ორი პერიოდი იყო. პირველ პერიოდში, როცა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ჯერ კიდევ არ დამთავრებულიყო ბრძოლა ბურჟუაზიული რეაქციის ძალებსა და სახალხო დემოკრატიის ძალებს შორის, როცა ჯერ კიდევ შეიძლებოდა ჰქონოდათ იმედი, რომ ამ ქვეყნების რეაქცია გაიმარჯვებდა, ტიტოელები „რეზერვში" რჩებოდნენ, ისინი არ აჩენდნენ თავიანთ კლანჭებს, აშკარად არ გამოდიოდნენ როგორც ამერიკელი იმპერიალისტების ანტისაბჭოთა მოიერიშე რაზმი. ასეთ მოიერიშე რაზმად ისინი გამოვიდნენ მხოლოდ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების განვითარების მეორე პერიოდში, როცა დემოკრატიისა და სოციალიზმის ძალებმა ამ ქვეყნებში უკვე მოიპოვეს გადამწყვეტი გამარჯვება და ანტისაბჭოთა პროიმპერიალისტური ძალების ორგანიზაცია ღარ შეიძლებოდა დაეკისრებინათ აშკარა რეაქციის განადგურებული რაზმებისათვის. ამ ორ პერიოდს შეესაბამებოდა ისიც, რომ ტიტოელები საინფორმაციო ბიუროს რეზოლუციამდე ჯერ კიდევ ცდილობდნენ „მშვიდობიანი გზით" წინააღდგომოდნენ სახალხო დემოკრატიულ განვითარებას და მხოლოდ ამ რეზოლუციის შემდეგ დაადგნენ ტერორისტული ხერხებით, ძალადატანებითი გადატრიალების ხერხების გამოყენების გზს. როგორც იუგოსლავია ომისშემდგომ პირველ წლებში ჯერ კიდევ „რეზერვში" იმყოფებოდა და მხოლოდ უფრო გვიან გამოვიდა იმპერიალისტების აშკარა მოიერიშე რაზმის სახით, ისევე რაიკი დემოკრატიული განვითარების პირველ ხანებში ცენტრალური ფიგურა კი არ ყოფილა, არამედ იარაღი იყო შინაური და გარეშე რეაქციის ხელში, და იგი მხოლოდ უფრო გვიან, უნგრეთის მუშათა კლასის მიერ მოპოვებულ გადამწყვეტ გამარჯვებათა შემდეგ, სხვადასხვა რეაქციული ძალების განადგურების შემდეგ ამოტივტივდა და გახდა ტიტოელთა კანდიდატი პრემიერ-მინისტრობისა, გახდა — თუნდაც დროებით — უნგრეთის რეაქციის მთავარი ფიგურა. ტიტოელები და მათი იმპერიალისტი ბატონები რაიკის პიროვნებაზე შეჩერდნენ არა მისი ლამაზი თვალების გამო, არამედ იმიტომ, რომ მათ აღარ შეეძლოთ ფერენც ნადისა და მინდსენტის იმედით ყოფნა. მაგრამ ისინი კვლავ ამყარებდნენ ვარაუდს კულაკური და კლერიკალური რეაქციის ძალებზე. მაშინაც კი, როცა რაიკის პიროვნებაზე შეჩერდნენ. რანკოვიჩი პაკში განსაკუთრებით აფრთხილებს რაიკს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს კლერიკალური რეაქციის გამოყენებას, აღნიშნავს, რომ რაიკის შეიარაღებული გადატრიალების წარმატებისათვის აუცილებელია, რომ პოჩპატრიში მომხდარი ამბოხების მსგავსი ამბები ხდებოდეს არა მარტო ამ სოფელში, არამედ მთელ უნგრეთში.

განგსტერულ ხერხებსაც და განგსტერულ პროგრამასაც უცალობლად თან ახლდა განგსტერული ოსტატობა სიბნელეში დამალვისა, განგსტერული ოსტატობა პოლიტიკური შენიღბვისა, თვალთმაქცობისა. რანკოვიჩმა ამ ოსტატობის გაკვეთილი მისცა რაიკს, განავითარა რა მის წინაშე ტიტოს ეგრეთ წოდებული „გენიალური გეგმა ხელახალი ორიენტაციისა", რომელიც ითვალისწინებდა საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ იუგოსლავიის ხალხის მასების თანდათანობით ამხედრებას. შენიღბვის ეს განგსტერული ოსტატობა მათ სურდათ გამოეყენებინათ უნგრეთშიც, სადაც რაიკის ახალი მთავრობა გადატრიალების შემდეგ აპირებდა გამოეცა მანიფესტი საბჭოთა კავშირისადმი ღუდმივი მეგობრობის შესახებ, ამავე დროს შეეთავაზებინა „შუამავლობა" საბჭოთა კავშირსა და იუგოსლავიას შორის კონფლიქტის გადასაწყვეტად. რაიკი და მისი ბანდა, ემზადებოდნენ რა რაკოშის მოკვლისათვის, ემზადებოდნენ რა გადაეგდოთ უნგრეთი საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მეგობრობის „გზიდან, ამავე დროს ემზადებოდნენ მოეტყუებინათ უნგრეთის მშრომელი მასები: კომუნისტების სისხლში გასვრილი ფაშისტ მკვლელთა თავიანთი ხელი მათ უნდოდათ გაეწოდებინათ საბჭოთა კავშირისათვის, რათა ამით შეცდომაში შეეყვანათ უნგრეთის მშრომელები.

პატივცემულო სახალხო სასამართლოვ! ასეთი „პოლიტიკური" პროგრამის საფუძველზე და ასეთი ხერხებით ეწეოდნენ იუგოსლავიელი მოღალატეები და ჯაშუშები ძირგამომთხრელ მუშაობას არა მარტო ჩვენში, არამედ სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყანაში, როგორც ეს ცხადყო ბრანკოვის, პალფისა და რაიკის ჩვენებამ ტიტოელთა კაშირურთიერთობისა და ალბანეთში, პოლონეთში, რუმინეთსა და ჩეხოსლოვაკიაში მათი აგენტების ძირგამომთხრელი საქმიანობის თაობაზე.

პატივცემულო სახალხო სასამართლოვ!

ამ პროცესზე ბრალდებულთა სკამზე სხედან არა მარტო რაიკის იუგოსლავიელი ბატონები და მისი თანამონაწილენი, არამედ ტიტოელთა ბატონებიც — დასავლეთის, პირველ რიგში ამერიკელი იმპერიალისტები. ეს პროცესი შუქს ფენს ამერიკის დაზვერვის ორგანოების ძირგამომთხრელი საქმიანობის მეთოდებს. პროცესის მასალები ცხადყოფენ, რომ ამერიკის დაზვერვის ორგანოები ჯერ კიდევ ჰიტლერის წინააღმდეგ ომის პერიოდში წინდახედულად ემზადებოდნენ დემოკრატიისა და სოციალიზმის ძალების წინააღმდეგ ბრძოლისათვის, არა მარტო, თუ შეიძლება ასე ითქვას, ნორმალურ დიპლომატიურ და პოლიტიკურ საშუალებათა გამოყენებით, არამედ დემოკრატიული ძალებისა და რევოლუციური მუშათა პარტიებისათვის შიგნიდან ძირის გამოთხრის საზიზღარი ხერხებითაც. რანკოვიჩის ზურგს უკან დგას ფილდისა და დალესის ანრდილი.

რაიკის საქმეზე პროცესის მამხილებელ მასალებს ამერიკელი იმპერიალისტები თავიანთი ჩვეულებისამებრ იმით უპასუხებენ რომ სავსებით უარყოფენ მათ. პოლკოვნიკმა კოვაჩმა განაცხადა, რომ იგი თავის სიცოცხლეში არასოდეს არ შეხვედრია რაიკს, შეერთებული შტატების ყოფილი ელჩი ბუდაპეშტში ჩეპინი ამტკიცებს, რომ მას არასოდეს არ ჰქონია საუბარი რაიკთან კელებიაში რანკოვიჩთან მისი შეხვედრის შესახებ და ტიტოელთა გეგმების შესახებ. ამერიკის დაზვერვის ორგანოების ხელმძღვანელები უარყოფენ და ცდილობენ ალიბი წარმოადგინონ, თუმცა მათი პოლიტიკა, მათი მოქმედება საწინააღმდეგოს ამტკიცებს!

მართალია თუ არ არის მართალი ის, რომ კიშპარნაკ-ფარკაშის ფაშისტური ქვეგანაყოფები ამყამადაც ავსტრიის ამერიკულ ზონაში იმყოფებიან? რათა ჰყავთ ისინი იქ თუ არა ამ პროცესზე გამოაშკარავებული მიზნებისათვის? რის საფუძველზე ცდილობენ ისინი უარყონ ის ფაქტი, რომ ბატონ ალენ დალესს კავშირი ჰქონდა სენიის ჯაშუშურ ჯგუფთან, როცა ალენ დალესის ძმამ ჯონ ფოსტერ დალესმა ჯერ კიდევ 1948 წლის გაზაფხულზე, მაშასადამე, მაშინ, როცა ტიტოელებმა და რაიკისტებმა თავიანთი გაძლიერებული აქტივობა გამოიჩინეს, გააკეთა განცხადება ამერიკელ იმპერიალისტთა გეგმის — „ოპერაცია X"-ის შესახებ, რომელიც ითვალისწინებდა სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში ფარული მოძრაობის შექმნას. ამ გეგმის არსი ჯონ ფოსტერ დალესის შემდეგ ჩამოაყალიბა შეეიცარიის გაზეთმა „დეტაჩმა" 1949 წლის 26 აპრილის ნომერში: „დასავლეთმა პირველ რიგში სცადა კონტაქტი დაემყარებინა სახალხო დემოკრატიის ქვეყნების გაბატონებული კლასების კადრებთან და გამოჩენილ წარმომადგენლებთან, და თითქოს ამ დარგში მიღწეულმა შედეგებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა".

ამ რამდენიმე სტრიქონში შეჯამებულია პროცესის მთელი მასალა, ამ სტრიქონებში მთლიანად დახასიათებულია არიან რაიკი, პალფი, სენიი, აგრეთვე ტიტო, კარდელი, ჯილასი და რანკოვიჩი. აქ პროცესზე ფარდა აეხადა ამერიკელი იმპერიალისტების გეგმის პრაქტიკულ განხორციელებას, — მაშ რაღა საჭიროა ბატონ ჩეპინის, ბატონ დალესისა და ბატონ პოდპოლკოვნიკ კოვაჩის უარყოფა და მოგონილი ალიბი?

ამ სასამართლო პროცესზე ჩვენ ფარდა ავხადეთ „კურთხეული" ამერიკული დემოკრატიის განგსტერულ ხერხებს, ფაშისტურ მეთოდებსა და მიზნებს. ჩვენს წინაშე დგას ეგრეთ წოდებული „დემოკრატია", როგორც ჰიტლერისა და ჰორტის და მათ მსახურთა მეთოდების ანარნიერი მემკვიდრე. ამერიკის „დემოკრატიამ" ფაშიზმისაგან აიყვანა რაიკი და შტოლტე, შიმპორ-შვეინტცერი და კიშპარნაკი-ფარკაში, თავის სამსახურში ჩააყენა ისინი, რათა უნგრელი ხალხის წინააღმდეგ ბრძოლაში გამოიყენებინა. ამერიკელი იმპერიალისტები იყვნენ ტიტოსა და რანკოვიჩის მთელი პოლიტიკური პროგრამისა და გადატრიალების გეგმების შემქმნელები და ავტორები. ამერიკისა და ინგლისის დაზვერვის ორგანოებმა ჯერ კიდევ ჰიტლერის წინააღმდეგ ომის დროს მოისყიდეს ტიტოელები, რათა შეეფერხებინათ სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ხალხთა ეროვნული და სოციალური განთავისუფლება, რათა გაერიყათ საბჭოთა კავშირი და მოემზადებინათ მესამე მსოფლიო ომი.

ბალკანეთის ბლოკის ანტისაბჭოთა გეგმებიც იშვნენ არა ტიტოს თავში, არამედ ვაშინგტონსა და ლონდონის დაზვერვის ორგანოებში.

უნგრეთში გადატრიალების გეგმაც, რომელიც თვითონ ტიტომ შეიმუშავა და რომლის შესრულება რაიკის ჯაშუშურ ბანდას ევალებოდა, გაუგებარია, თუ იგი არ დავუკავშირეთ ამერიკელი იმპერიალისტების საერთაშორისო გეგმებს. გიფსენეი, რა თქვა რაიკმა შეიარაღებული გადატრიალების ვადის ეგრეთ წოდებული „შეფარდების" შესახებ. ამ შეფარდებად უნდა ვიგულისხმოთ ხელსაყრელი საერთაშორისო მდგომარეობის ისეთი მომენტისათვის დაცდა, როცა საბჭოთა კავშირის ყურადღება სხვა საქმეზე იქნებოდა გადატანილი და ამის შედეგად იუგოსლავიელი ავანტურისტები თავისუფლად შეძლებდნენ განხორციელებინათ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საქმეებში საგარეო და საშინაო შეიარაღებული ჩარევა.

პროცესის მასალებმა ცხადყო, რომ შეიარაღებული გადატრიალება და მკვლელობანი „შეფარდებული" იყო 1949 წლის თებერვალსა და ივნისს შუა პერიოდისათვის. სენიის 1949 წლის ზაფხულში სურდა მოეწყოს პარტიული კონფერენცია, რომლის მოწყობაც დასახული იყო გადატრიალების შემდეგ; პალფი გადატრიალების განხორციელების ვადად ასახელებს 1949 წლის გაზაფხულს.

გავიხსენოთ ამ პერიოდის საგარეო-პოლიტიკური ამბები. არა მგონია შეცდომა დავუშვა, თუ ვიტყვი, რომ ბერლინის „საჰაერო ხიდის" გარშემო ხელოვნურად გამოწვეული კონფლიქტი, გაძლიერებული ანტისაბჭოთა „ცივი ომი" საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს პარიზის სესიის წინ, სხვათა შორის, სწორედ რანკოვიჩ-რაიკის გეგმების „შეფარდების" მიზნებს, საბჭოთა კავშირის შებოჭვის მიზნებს, იუგოსლავიელ და უნგრელ დაქირავებული მკვლელების თავისუფალი მოქმედების უზრუნველყოფის მიზნებს ემსახურებოდა. როცა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ორგანოებმა ამა წლის მაისში აღმოაჩინეს შეთქმულება და დაიწყეს შეთქმულთა დაპატიმრება, ამ ორგანოებმა არა მარტო დაიცვეს დაქირავებულ მკვლელთაგან უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო წყობილება, არამედ ამავე დროს ომის გამჩაღებელთა გეგმებიც ჩაფუშეს საერთაშორისო პოლიტიკის ერთ-ერთ საკმაოდ მნიშვნელოვან უბანზე. ეჭვი არ მეპარება, რომ სახალხო სასამართლოს განაჩენის სიმკაცე და თანმიმდევრობა, ულმობელი ლიკვიდაცია სამშობლოს მოღალატე იმ შეთქმულთა ბანდისა, რომელნიც ახლა ბრალდებულთა სკამზე სხედან, ხელს შეუწყობს ომის იმპერიალისტ გამჩაღებელთა აგრესიული გეგმების განხორციელების შემდგომ შეფერხებას. ეს პროცესი და განაჩენი, რომელიც გამოტანილ იქნება, ამ ბრძოლის ნაწილია, რომელსაც დემოკრატიული და სოციალისტური ძალები ეწევიან მშვიდობისათვის, ეწევიან ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ. ამ პროცესზე, პატივცემულო სახალხო სასამართლოვ, საქმე ეხება ომის გამჩაღებელთა უნგრელი აგენტების, იმპერიალისტთა მეხუთე კოლონის ულმობელ მოსპობას.

პატივცემულო სახალხო სასამართლოვ!

ერთი წუთით მოვაშოროთ თვალი პროცესის პოლიტიკურ ფონსა და საერთაშორისო მნიშვნელობას და შევხედოთ თვით ბრალდებულთ.

რა ხალხია ეს, რა საზოგადოებაა?

ბრალდებულთა სკამზე სხედან წვრილფეხა ჯაშუშები და დიდი პოლიტიკური აგენტები; მაგრამ ეს განსხვავება მაგალითად, ოვენნოვიჩსა და რაიკს შორის, მხოლოდ რაოდენობრივია და სრულიადაც არა თვისობრივი. ლასლო რაიკმაც ხომ თავისი კარიერა დაიწყო არა როგორც კონტრრევოლუციის კანდიდატმა პრემიერ მინისტრის პოსტისათვის, არა როგორც დიდმა პოლიტიკურმა აგენტმა, არამედ როგორც პოლიციის წვრილფეხა ჯაშუშმა. ამ მხრივ ცალკეულ ბრალდებულებს შორის განსხვავება არ არის, ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან იმით, რომ მათ შორის არიან ჩვეულებრივი ფაშისტები, რომლებსაც ხალხი სძულთ, როგორიც არიან პალფი და კორონდი, და ისეთებიც, რომლებიც მუშათა მოძრაობაში რომ შეეძვრნენ, შემდეგ ღალატობდნენ მას. ყველა მათთვის საერთოა ის, რომ მათი სახით საქმე გვაქვს საზოგადოების ნაძირალებთან, რომ ისინი უკლებლივ ყველანი 30-იან წლებში მოახლოებული ფაშიზმის ატმოსფეროში გამეცქირეთ გახდნენ. სენიი და რაიკი, იუსტუსი და სალაი იმ დროს მუშათა მოძრაობას მიეტმასნენ, მაგრამ პირველივე განსაცდელისას თავიანთი ლაჩრული და უპრინციპო ხასიათის გამო გამცემლები გახდნენ.

ამ სასამართლო პროცესთან დაკავშირებით დასავლეთ ქვეყნების ზოგიერთი წრეები კითხულობენ: ამდენი გამცემი როგორ მოხვდა მუშათა პარტიის რიგებშიო? უცნაურია, რომ ამ კითხვას იძლევიან სწორედ ისინი, ვინც ეს გამცემლები ჩვენს ზურგზე ეკეთა, ვინც ეს გამცემლები ჩვენს რიგებში შემოგზავნა რევოლუციური მოძრაობის შიგნიდან გასახრწნელად. მუშათა პარტიებში ჯაშუშებისა და პროვოკატორების შეგზავნა მტრის ძველი მეთოდია! რატომ თავიდანვე ვერ შეძლეს მუშათა პარტიებმა გამცემლების გამოძიევნება? ჩვენს ხელში რომ ყოფილიყო ის არქივი, რომელშიც სიცხია! მაგრამ, როგორც ცნობილია, უნგრეთის პოლიციის არქივი იყო არა ჩვენს განკარგულებაში, არამედ ამერიკის დაზვერვის ორგანოების განკარგულებაში!

ამ პროცესთან დაკავშირებით ბევრი აყენებს კითხვას: რატომ ვიქცევდით ჩვენ გასამართლეს დროს ყურადღებას მხოლოდ ფაქტებს და მომოქმედებებს, რატომ არ ვარკვევდით აგრეთვე ბრალდებულთა ფსიქოლოგიას? ჩემი აზრით, ანტისახელმწიფოებრივი შეთქმულების საქმის გამო შემდგარ პროცესზე მნიშვნელობა აქვს მოქმედებას, და არა ფსიქოლოგიურ მოტივებს. მაგრამ ძნელი არ არის აგრეთვე ავხსნათ ბრალდებულთა სულიერი განვითარება, მათი ფსიქოლოგია. რატომ გახდნენ ისინი გამცემლები? იმიტომ, რომ ისინი ლაჩრები და უპრინციპო ადამიანები იყვნენ, იმიტომ, რომ მათ არ შეეძლოთ მსჯელობა. რატომ შემდეგში არ გაწყვიტეს კავშირი გამცემლობასთან? იმავე მიზეზით, რომლითაც თავიანთი გამცემლური კარიერა დაიწყეს. ისინი თავიანთი ბატონების ხელში იყვნენ, გამომძიებლებისა ეშინოდათ და გამბედაობა არ ჰქონდათ თვითონ გაემეკავშირებინათ თავიანთი ბინძური წარსული. რატომ აღიარებენ ახლა თავიანთ დანაშაულს? რატომ არ ცდილობენ უარყონ თავიანთი დანაშაული ან თავი დაიცვან? იმიტომ, რომ მხილებული არიან, იმიტომ, რომ იციან უარყოფით თავს ვერ უშველიან. მათში მონანიება არ არის, მათ მხოლოდ სასჯელისა ეშინიათ. მათი აღიარება შედეგია არა მონანიებისა, არამედ მხილებისა.

სწორედ ამიტომ, პატივცემულო სახალხო სასამართლოვ, მათთვის არ არსებობს დანაშაულის შემამსუბუქებელი გარემოება. შემამსუბუქებელი გარემოება არ არის. არის მხოლოდ დამამძიმებელი გარემოებანი.

როცა განაჩენი უნდა გამოუტანოთ ბანდის ხელმძღვანელს — გამცემელ რაიკს, ნუ დაივიწყებთ ფერენც როჟასა და ზოლტან შენჰერცს, რომელთა დალუპვის მიზეზიც რაიკი იყო. ნუ დავიწყებთ წინათ გაცემულ და საპყრობილეში დამწყვდეულ მშენებელ მუშებს.

როცა განაჩენი უნდა გამოუტანოთ ანდრაშ სალაის, გიიხსენეთ შატორალაუიხეის საპყრობილეში სიკვდილით დასჯილი 64 რევოლუციონერი, რომელთა სიკვდილშიც მას მიეძღვის ბრალი.

როცა განაჩენი უნდა გამოუტანოთ პალ იუსტუსს, ნუ დავიწყებთ მის მეტსახელს და განაჩენი გამოუტანეთ არა მარტო რანკოვიჩის აგენტს, არამედ პეტერ ჰაინის ჯაშუშსაც, რომელიც „ე-17" ნომერს ატარებდა.

როცა განაჩენი უნდა გამოუტანოთ პალფისა და კორონდის, იფიქრეთ მათს წინამორბედებზე, რომელთათვის წასაბაძავადაც ისინი ემზადებოდნენ: 1919 წლის კაკისმკვლელ ოფიცრებზე, პრონაისა და ოსტენბურგის ბანდებზე.

როცა განაჩენი უნდა გამოუტანოთ ბრანკოვს, იფიქრეთ ჯალათ რანკოვიჩზე, რომლის ერთ-ერთი მთავარი აგენტია ეს ადამიანი, იფიქრეთ იუგოსლავიელი პატრიოტების ტანჯვაზე. როცა განაჩენი უნდა გამოუტანოთ სენიის, იფიქრეთ მის ბატონებზე, ამერიკელ იმპერიალისტებზე, რომლებსაც სურდათ თავს მოეხვიათ უნგრელი ხალხისათვის ბერძენი ხალხის ბედი, იმ ხალხის ბედი, რომელიც იტანჯება და სისხლით იცლება.

ჩვენი ხალხი ამ დამნაშავეთა სიკვდილს მოითხოვს, და მე, როგორც ბრალდების წარმომადგენელი, ვუერთდები ამ მოთხოვნას. ქვეწარმავალს, რომელსაც სურს დაგვგესლოს, თავი უნდა გავუსრისოთ. ჩვენ უნდა დავიცვათ ჩვენი დემოკრატიის მონაპოვარი, ჩვენი ეროვნული დამოუკიდებლობა, მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომა სამშობლოს მოღალატეებისა და დაქირავებული მკვლელებისაგან. საჭიროა ისეთი განაჩენი, რომლითაც იმპერიალიზმის თვითეულმა აგენტმა და გამცემელმა გაიგოს, რა მოელის მას, თუ გაბედა ხელი აღმართოს ჩვენი სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ. ცოფიანი ძაღლებისაგან თავის დაცვა მხოლოდ ერთი გზით შეიძლება: უნდა მოვკლათ ისინი.

დაე სახალხო სასამართლომ განაჩენის გამოტანისას გაითვალისწინოს, რომ მისი უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა ხალხი დაიცვას იმპერიალისტების სამსახურში მყოფი „მეხუთე კოლონისაგან". ხალხის ინტერესები მოითხოვს ყველა ბრალდებულისათვის ყველაზე სასტიკი და კანონით გათვალისწინებული განაჩენის გამოტანას.

დამცველთა სიტყვები

პროკურორის სიტყვის შემდეგ ბუდაპეშტის სახალხო სასამართლო, რომელიც იხილავს რაიკისა და მის თანამონაწილეთა საქმეს, გადავიდა დამცველთა გამოსვლების მოსმენაზე.

პირველი გამოდის მთავარი ბრალდებულის ლასლო რაიკის დამცველი დოქტორი ელეკ კასო.

— მე, — ამბობს დამცველი, — გამოვდივარ ამ სასამართლო პროცესზე, რომელიც უნგრეთის ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი პროცესია, ბრალდებულ ლასლო რაიკის დამცველად. თუ მხედველობაში მივიღებთ მის მიერ ჩადენილ დანაშაულობათა სიმძიმეს, ეს ალბათ ამოცანა როდია.

იმოწმებს რა კანონს, რომლის თანახმადაც იძულების ფაქტი შემამსუბუქებელ გარემოებას წარმოადგენს, დამცველი თავის სიტყვაში ცდილობს დაამტკიცოს, რომ ლასლო რაიკი იძულებით მოქმედებდა. „ლასლო რაიკის შემთხვევაში, — ამბობს დამცველი, — მუქარა ყოველთვის როდი გამორიცხავდა მისი საკუთარი ნებისყოფის გამოვლინებას, მაგრამ მაინც ძლიერ გავლენას ახდენდა მასზე და სძლევდა იმ მოტივებს, რომლებიც აკავებდნენ მას დანაშაულის ჩადენისაგან".

— მე უნდა განვაცხადო, — ამბობს დამცველი, — რომ ამ სასამართლო პროცესში ლასლო რაიკი მხოლოდ მეორეხარისხოვან დამნაშაკად მიმაჩნია. მთავარი დამნაშავენი იყვნენ იმპერიალისტები, რომელთა ხელშიც ლასლო რაიკი მხოლოდ მარionეტი იყო. შესაძლოა, იგი მოაზროხებდა პატიოსან გზაზე გამისვლას, რომ არ ყოფილიყვნენ ისეთი ძალები, რომლებსაც სურთ, რომ ევროპაში და მთელ მსოფლიოში კვლავ სისხლი იღვრებოდეს.

ლასლო რაიკს ჩადენილი აქვს მძიმე დანაშაულობანი. თანამშრომლობდა რა უცხო სახელმწიფოების აგენტებთან, ეღალატა რა სამშობლოს, მას სურდა დაემხო დემოკრატიული სახელმწიფო წყობილება. მაგრამ მას შეეშინდა უკანასკნელი ნაბიჯების გადადგმისა. სახრალდებო აქტი, ამბობს დამცველი, რაიკს ბრალდებად უყენებს სამხედრო დანაშაულობათა ჩადენას, მაგრამ როგორც საბრალდებო აქტში, ისე სასამართლო პროცესის მსვლელობაში არ გამორკვეულა ისეთი ფაქტები, რომლებიც ადასტურებდნენ, რომ ბრალდებული სს-ის რაზმებში ან რომელიმე სხვა გერმანული ორგანიზაციის სამსახურში ყოფილიყო.

— რაიკის სრულმა აღიარებამ, — ამბობს დასასრულ დამცველი, — საგრძნობლად შეუწყო ხელი შეთქმულებისა და ომით მხილებას, რომლებიც გამოდიოდნენ